კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო

უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

სტუდენტი - ბუხუტი სიჭინავა

წყლის რესურსები და მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთის ქვყნების პოლიტიკაზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

მაია კაპანაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019

ანოტაცია

წყალი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ რესურს წარმოადგენს მსოფლიოში. მიმდინარე პოლიტიკური, დემოგრაფიული და კლიმატური ცვლილებების ფონზე წყლის რესურსებზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება, რის გამოც მსოფლიოში მრავალი ქვეყანა თუ რეგიონი წყლის სერიოზულ დეფიციტს განიცდის. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს წყლის რესურსების არათანაბარი გადანაწილება.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული კლიმატის გამო წყალი ძალიან ცოტაა, რაც მას გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რესურსად აქცევს. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებს შორის არსებულ წყლის კონფლიქტებზე.

წყლის რესურსებისათვის ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებს შორის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამწვავდა და იგი დღემდე მოუგვარებელ საკითხად რჩება რეგიონის ქვეყნებს შორის.

ნავთობისა და გაზის რესურსებით მდიდარი სახელმწიფოები წყლის სერიოზულ კრიზის განიცდიან, თუმცა ამ პრობლემის მოსაგვარებლად ისინი ოპტიმალურ გზებს ეძებენ, რათა უზრუნველყონ თავიანთი ქვეყნის წყლის უსაფრთხოების საკითხი.

კონკრეტული მაგალითებიდან გამომდინარე ნაშრომის დასკვნით ნაწილში დასტურდება, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ქვეყნები წყლის რესურსების ათვისებას და განაწილებას დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგანაც იგი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

The water resources and their influence on the politics of the countries of the Middle East region

Annotation

Bukhuti Sitchinava

The water is one of the important resource in the world. On the background of the current political, demographical and climate changes the demand for the water resources is increased day by day because of what many countries of the world feel the serious deficit of water. The situation is much more complicated by uneven redistribution of water resources.

Because of the climate in the region of the Middle East the water resources are too small which makes it as an important resource geopolitically. In the present work the attention is directed to the conflicts existing between the countries of the Middle East.

The fight for the water resources between the countries of the Middle East has aggravated from the second half of twentieth century and it is still remained as an unsolved issue between the countries of the region.

The countries being rich of petrol and gas experience a serious crises of water though for solution of this problem they are looking for optimal ways to provide with the issue of security of water resources of their countries.

As a result of the specific examples in the final part of work it is witnessed that the countries in the region of the Middle East very important is the assimilation and distribution of water resources is of great importance so as it is one of the most important component of the national security.

სარჩევი

შესავალი 5-10

თავი I - წყლის რესურსები ახლო აღმოსავლეთში 11-28

1.1 წყლის რესურსების ცნება და გეოგრაფიული კლასიფიკაცია 12-18

1.2 ახლო აღმოსავლეთის ტბები წყალსატევები 18-20

1.3 გრუნტი წყლები და დეზალტაცია, როგორც წყლის რესურსი ... 20-21

1.4 კასპიის ზღვასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი სამართლებრივი სტატუსი 21-28

თავი II - ახლო აღმოსავლეთის სრუტეების გეოპოლიტიკური მნიშვნელობა 29-38

2.1 ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საერთაშორისო მნიშვნელობა 30-33

2.2 ჰორმუზის სრუტის მნიშვნელობა სპარსეთის ყურის ქვეყნებისათვის 33-38

თავი III - წყლის სიმცირით გამოწვეული კონფლიქტები რეგიონში 39-61

3.1 წყალთან დაკავშირებული პრობლემები ებრაულ და არაბულ ქვეყნებს შორის..... 39-50

3.2 სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის განვითარების პროექტი და სირიისა და ერაყის წყლის უსაფრთხოების საკითხი 50-56

3.3 შატ-ელ-არაბის საკითხი და სპარსეთის ყურის პირველი ომი ... 56-57

3.4 ბრძოლა ნილოსისათვის 58-61

დასკვნა 61-63

გამოყენებული ლიტერატურა 64-65

შესავალი

წყლის რესურსებით მწირ ახლო აღმოსავლეთში ამ რესურსებს დიდი მნიშვნელობა გააჩნია, რაც წინამდებარე **საკვლევი თემის აქტუალობას** განპირობებს. წყლის რესურსების მოპოვებისა და ათვისების გამო ხშირი შემთხვევაა დაპირისპირებები რეგიონის ცაკეულ ქვეყნებს შორის, რომელთა მოგავრება დიდი პრობლემას წარმოადგენს. წყლით გამოწვეულ კონფლიქტებში ზოგჯერ დიდი სახელმწიფოებიც ერევიან , რომელიც უმეტეს შემთხვევში კონფლიქტს უფრო მეტად ამწვავებს. აქედან გამომდინარე წყლის საკითხი საკმაოდ აქტუალურია ახლო აღმოსავლეთში.

საკვლევი კითხვები

- ❖ რა გავლენას ახდენს წყლის ფაქტორი რეგიონის ცალკეული ქვეყნების უსაფრთხოებაზე?
- ❖ რამდენად შეიძლება წყლის სიმწირით გამოწვეული პრობლემა იქცეს დიდი კონფლიქტის დაწყების მიზეზად?
- ❖ რამდენად შეიძლება წყალთან დაკავშირებული კონფლიქტი რეგიონის ფარგლებს გასცდეს?
- ❖ რა გზები არსებობს წყალთან დაკავშირებული კონფლიქტების მოსაგვარებლად?

კვლევის **ჰიპოთეზა** ასაბუთებს იმ ფაქტს რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წყლის რესურსებს დიდი მნიშვნელობა გააჩნია. წყლის ფაქტორით გამოწვეული არა ერთი ომი მომხდარა ქვეყნებს შორის, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე მოუგვარებელია. წყლის რესურსების გადანაწილების

საკითხთან დაკავშირებით წარმოქმნილი კონფლიქტები ხშირ შემთხვევაში გამხდარა მიზეზი სხვა ქვეყნების მხრიდან მათში ჩარევისა, რასაც უმეტეს შემთხვევაში დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ამ პრობლემით გამოწვეული კონფლიქტების მოგვარებასაც ჰქონდა ადგილი. წყლის სიმწირით გამოწვეული დაპირისპირებები შესაძლებელია გადაიზარდოს დიდ კონფლიქტში და გასცდეს რეგიონის ფარგლებს.

ჩვენი კვლევის **მიზანი** იყო შეგვესწავლა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ცალკეულ ქვეყნებში წყალთან დაკავშირებული პრობლემები და სახლმწიფოებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობები წყლის რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებით.

ჩვენ კვლევისას **ამოცანად** დავისახეთ, ბოლო დროს რეგიონში ცალკეული მდინარის, ზღვისა თუ სრუტის გავლენის მოპოვებისათვის წამოჭრილი კონფლიქტების არსის შესწავლა და მათი მასშტაბურობის დადგენა.

ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია ისეთი **მეთოდები**, როგორიცაა ინდუქციისა და დედუქციის, ისტორიული და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

მეთოდოლოგიურ ნაწილში ნაშრომში ვიყენებთ ,,ძალთა ბალანსის" თეორიას და „ჰერმონის დოქტრინას".

,,ძალთა ბალანსის თეორია" რეალისტური სკოლის შემადგენელ ნაწილია და გამომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული სტრუქტურიდან. თეორიის მიხედვით რეალისტები საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სხვადასხვა ეტაპების თავისებურებებს განმარტავენ. ,,ძალთა ბალანსის" თეორიის მიხედვით, იმის გამო რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია ყოველი სახელმწიფო თვითგადარჩენისთვის და

თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის. ძალთა ბალანსის კონცეფცია მრავალი დეფინიციებით შეიძლება განიმარტოს, რომელთაგან წინა პლანზე შეიძელბა შემდეგი სამი გამოიყოს.

1. ძალთა ბალანსი არის პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველი, რომელიც ეფუძნება წამყავნი სახელმწიფოების ძალაუფლების განაწილების პრინციპს.

2. ინგლისელი ისტორიკოსის ტოინბის განმარტებით: ,,ძალთა ბალანსი არის პოლიტიკური დინამიკის სისტემა, რომელიც თამაშში შედის ყველგან, სადაც საზოგადოებებია (ამ შემთხვევაში იგულისხმება საერთაშორისო) გამოყოფილი რამდენიმე დამოუკიდებელ ლოკალურ სახელმწიფოდ".

3. ,,ძალთა ბალანსი წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ისეთ სახეს, არც ერთი მათგანი არ არის იმდენად ძლიერი, რომ სხვებს მოახვიოს თავისი კანონები". ამგვარად განმარტავს, ფრანგი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, გატელი ძალთა ბალანსს.

ძალთა ბალანსის თეორია შეისწავლის და იკვლევს ომის პრობლემებს და ძალის ფენომენს, როგორც სამხედრო პოტენციალის დემონსტრირების და გამოყენების პოლიტიკურ ასპექტებს.

,,ჰერმონის დოქტრინა" - 1896 წელს აშშ-ის გენერლური პროკურორის, ჯადსონ ჰერმონის მიერ გამცხადებული დოქტრინაა, რომელიც შეესაბამებოდა აშშ-ს ინტერესებს მდ. რიო-გრანდეს მიმართ. ამ დოქტრინის მიხედვით აღიარებულია რომ ყველა სახელმწიფოს აქვს აბსოლიტური სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე, რაც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური

პრინციპია. ჰერმონის დოქტრინა გახდა საფუძველი მრავალი ქვეყნის მიერ მდინარეებზე აბსოლიტური ჰეგემონობის დაწესებისა.

თანამედროვე მოფლიოში მსგავის ტიპის დავები საერთაშორისო სამართლის მიხედვით და სახელწიფოთა პასუხისმგებლობისა და მსფლიო მოქალაქეობის კონცეეფციით გვარდება. თუმცა მრავალი სახელმწიფო დღესაც ჰერმონის დოქტრინის პრინციპებით მოქმედებს, რაც კონფლიქტებს იწვევს ქვეყნებს შორის.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს პრობლემა და მსგავის სახის კონფლიქტები მხოლოდ გასული საუკუნის ბოლო პერიოდიდან დაიწყო, **პრობლემის კვლევის მდგომარეობა** ქართულ რეალობაში სათანადოდ არ არის დამუშავებული და შეიძლება ითქვას რომ საკმაოდ მწირი სამეცნიერო მასალა მოგვეპოვება ქართულ ენაზე.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის წყლის რესურსები და მასთან დაკავშირებული პრობლემები განხილულია რ. გაჩეჩილაძის ნაშრომებში:

- პირველ ტომში ,,ახლო აღმოსავლეთი (გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები)“, (თბილისი 2018), იგი ყურადღებას ამახვილებს რეგიონში არსებულ წყლის რესურსებზე. მდინარეების გარშემო წარმოქმნილ უთახმოებაზე ახლო აღმსავლეთის რეგიონის ქვეყნებს შორის, ტბებზე და წყალსატევებზე. ასევე განხილულია რეგიონის სრუტეების მნიშვნელობა.
- მეორე ტომში ,,ახლო აღმოსავლეთი (გეოპოლიტიკა)“, (თბილისი, 2019), ყურადღებას ამახვილებს ებრაულ-არაბულ კონფლიქტზე, სადაც, ნაწილობრივ, წყლის განაწილების პრობლემურ საკითხზეცაა საუბარი.

უნდა ითქვას, რომ რ. გაჩეჩილაძის ნაშრომები აღნიშნული საკითხის კვლევასთან დაკავშირებით, მხოლოდ, ზოგადი მიმოხილვითი ხასიათისაა.

მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ასევე შ. დათიაშვილის კვლევებმა, რომელიც ებრაულ და არბულ მხარეებს შორის, პალესტინის ტერიტორიაზე, არსებულ წყლის კონფლიქტს განიხილავს.

განსხვავებით ქართული რეალობიდან, საკმაოდ კარგად არის დამუშავებული აღნიშნული პრობლემა საზღვარგარეთ და ამ მხრივ ლიტერატურაც საკმაოდ მრაავლადაა. თემის დამუშავების პროცესში გამოვიყენეთ უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა.

• GROWING CONFLICT OVER DEVELOPMENT IN THE EUPHRATESTIGRIS BASIN By Patrick MacQuarrie, 2004. ნაშრომში განხილულია ე. წ ნაყოფიერი ნახევარმთვარის ტერიტორიაზე არსებულ წყლის რესურსები, ევფრატისა და ტიგროსის მნიშვნელობა რეგიონის ქვეყნებისათვის. ნაშრომი ასევე ეხება სირიისა და ერაყის წყლის უსაფრთხოების საკითხს, თურქეთ-სირიასა და თურქეთ-ერაყს შორის არსებულ კონფლიქტებს, რომელიც გამოწვეულია თურქეთის მიერ მდინარეებზე მასშტაბური პროექტების განხორციელებით (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის განვითრების პროექტი). აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ცალკეული ქვეყნების (სირია, ერაყი, თურქეთი) წყლის რესურსები და მათი მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის.

• The Geopolitics of the Strait of Hormuz and the Iran-Oman Relations By Asghar Jafari-Valdani, Iranian Review of Foreign Affairs, Vol. 2, No. 4, Winter 2012, pp. 7-40. ნაშრომის შესავალ ნაწილში განმარტებულია სრუტეების არსი, დანიშნულება და მისი გეოპოლიტიკურ მნიშვნელობა. აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში კარგად არის ახსნილი ჰორმუზის სრუტის

საერთაშორისო მნიშვნელობა. გადმოცემულია ასევე ირანის ინტერესები და გავლენა რეგიონის ფარგლებში.

შევეცადეთ შეგვექმნა აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგებათ წყალთან დაკავშირებული პრობლემით დაინტერესებულ მკვლევარებს. ის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

თავი I

წყლის რესურსები ახლო აღმოსავლეთში

თანამედროვე მსოფლიოში წყლის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მრავალი ქვეყნისათვის და უმეტეს შემთხვევში ეს პრობლემა ეროვნული უსაფრთხოების დონემდეა აყვანილი. მოსახლეობის ზრდის პარალერურად იზრდება რესურსებზე მოთხოვნა და თავისთავად ისეთ მნიშვნელოვან რესურსზე როგორიც წყალია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური და სასმელად გამოიყენება. ამ პროცეს თან ერთვის გლობალური ეკოლოგიური კატაკლიზმები, რაც წყლის რესურსები სინაკლებეს იწვევს. წყლის რესურსები ერთ-ერთი მნიშვნელვანი გეოსტრატეგიული რესურსია, რომელზეც მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. მონაცემებზე დაყრდნობით და სპეციალისტთა მოსაზრებებით მომავლის ომები სწორედ რესურსების მოპოვებასთან და გადანაწილებასთან იქნება დაკვშირებული.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის დამახასიათებელია მშრალი და ნახევრად მშრალი კლიმატი, რაც თავისთავად განსაზღვრავს წყლის რესურსების სიმცირეს და რაოდენობას რეგიონის ცალკეულ სექტორებში. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წყლის რესურსების სიმრავლთ ე. წ ნაყოფიერი ნახევარმთავრის და შუამდინარეთის სექტორები გამოირჩევიან. ორონტესი, იორდანე, ლიტანი, ევფრატი და ტიგროსი მნიშვნელოვან წყლის რესურსებს წარმოადგენენ. სწორედ მათი ათვისება და გადანაწილება სახელმწიფოებს შორის დაძაბულობას წარმოშობს.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სამხრეთ ნაწილში გაბატონებული მშრალი კლიმატის გამო მეჩხერი სამდინარეო ქსელია, გამონაკლისია ეგვიპტეში მდ. ნილოსი, რომელიც ქვეყნის ერთადერთი მდინარეა. არაბეთის ნახევარკუნძულზე არც ერთი მუდმივი მდინიარე არაა. აქ მხოლოდ სეზონური მდინარეების ღრმად შეჭრილი კალაპოტებია (არაბ. ვადი) თავმოყრილი, რომლებშიც ადრე მდინარები მიედინეობოდა. ვადები ზამთარში ან გაზაფხულში მოსული წვიმის წყალობით შეიძლება აივსოს, ისიც მხოლოდ რამდენიმე დღით, ზოგჯერ კი რამდენიმე საათით.

რეგიონში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოა წყლით უზრუნველყოფილი. წყლის უდიდესი რესურსები გააჩნია თურქეთს, მაგრამ მიუხედავად ამისა ცალკეული თურქული პროვინციები წყლის დეფიციტს განიცდიან, რადგანაც წყლის რესურსები ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. მსგავსად თურქეთისა ერაყსა და სირიაში წყლის რესურსები არათანაბრადა განაწილებული, მდგომარებას კიდევ უფრო ართულებს თურქეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის განვითარების პროექტი, რაც ევფრატსა და ტიგროსში წყლის

მოცულობას ამცირებს. რაც შეეხება ირანს, აქ მნიშვნელოვანია მდინარეებიაა ზაიენდერუდი, კარუნი და სეფიდრუდი. გარდა ამისა, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იარანს სომხეთთან და, ნაწილობრივ, აზერბაიჯანთან სასზღვრო მდინარედ აქვს არაქსი (არეზი)[1].

1.1 წყლის რესურსების ცნება და გეოგრაფიული კლასიფიკაცია

წყლის რესურსებს ჩვეულებრივ უწოდებენ რომელიმე ტერიტორიის ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლების მარაგს [ტრაპაიძე ვ. 2012]. უფრო ფართო გაგებით კი წყლის რესურსები გამოსაყენებლად ვარგისი წყალია; პრაქტიკულად იგი მოიცავს ჰიდროსფეროს (**იხ. სურათი1.1**) ყველა ნაწილს (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, მიწისქვეშა და წყლები, მყინვარების წყალი, ატმოსფეროს წყლის ორთქლი და სხვა.) წყლის რესურსები გამოიყენება სოფლის მეურნეობის, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო, რეკრეაციული და სხვა საქმიანობისთვის.

წყლის რესურსები ბუნებრივი გარემოს აუცილებელი ნაწილია. მისი მეშვეობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებთ ყალიბდებიან ბუნებრივი კომპლექსები, რაც თავისთავად განაპირობებს რეგიონის ან ქვეყნის ეკოლოგიურ და სოციალურ განვითარებას. ამრიგად ბუნებრივი რესურსები, გარდა გეოგრაფიული და ეკოლოგიური კატეგორიებისა, ასვეე წარმოადგენს სოციალურ კატეგორიასც.

[1] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, თბილის, 2018,

1.1 დედამიწის წყლების გრაფიკული გადანაწილება[2]



Source: Igor Shiklomanov's chapter "World fresh water resources" in Peter H. Gleick (editor), 1993, Water in Crisis: A Guide to the World's Fresh Water Resources.
NOTE: Numbers are rounded, so percent summations may not add to 100.

თეორიულად წყლის რესურსები ამოუწურავია, გამომდინარე იქიდან რომ მათი რაციონალური გამოყენების დროს ისინი კვლავ აღდგებიან წრებრუნვის პროცესში. მოსახლეების მატებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა წყლის რესურსებიზე, რაც კაცობრიობას ახალი საფრთხის წინაშე აყენებს. მიუხედავად იმისა, რომ წყლის რესურსები განახლებად ბუნებრივ რესურსებს განეკუთვნება, არსებულ ეკოლოგიურ ვითარებაში ამ მოცემულობის შესანარჩუნებლად საჭიროა არ დაიხარჯოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ის ნაწილი, რომელიც ,,საუკუნოვან მარაგშია "(ტბები, მყინვარები და სხვა.) მოქცეული; ასევე საჭიროა სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობის პროცესში წყლის რესურსების გეგმა-ზომიერი გამოყენება, რაც შედარებით, ნაკლები ზიანის მომტანია და არ გამოიწვევს შეუქცევად პროცესებს ჰიდროსფეროში.

[2] http://www.envirothon.org/files/2014/The_Water_Cycle.pdf

ზედაპირული მტკნრი წყლები მდინარეებში, წყალსაცავებში, ტბებში და არხებშია[3] წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია ასევე მიწისქვეშა მტკნარი წყლები. ისინი ძირითადად სასმელი, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოიყენება .

წყლის რესურსებში მოიაზრებია ასევე:

- *მიწისქვეშა მინერალური წყლები*[4] ისინი გამოიყენება ბუნებრივ მდგომარეობაში ან გამტკნარების შემდეგ, მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, ასევე ნაწილობრივ სოფლის მეურნეობაშიც.

- *ზღვის სანაპირო წყლები*[5] ძირითადად გამოიყენება ბიოლოგიური და რეკრეაციული მიზნებისათვის, გარდა ამისა, აღნიშნული წყლები გამტკნარების შემდეგ სხვადასხვა მიზნებისათვის გამოიყენება.

- *მიწისქვეშა თერმული წყლები*[6] წარმოადგენს სამრეწველო ნედლეულს. გამოიყენება, როგორც ბალნეოლოგიური დანიშნულებისათვის და ასევე, როგორც ენერგორესურსი (მაგ. ისლანდიაში)

- *მეორადი მტკნარი წყლები*[7] შესაბამისი გაწმენდისა და დამუშავების შემდეგ მისი მეორედ გამოყენება შესაძლებელია.

წყლის რესურსების განსაკუთრებული ნაკლებობის დროს შეზღუდული რაოდენობით შეიძლება გამოყენებული იქნას:

- *ჩამდინარე*[8]*, უკვე გამოყენებული წყლების ზოგიერთი სახე* რასაკვირველია, ამგვარი წყლების უტილიზაციამდე უნდა მოხდეს მათი

[3] ტრაპაიძე ვ. წყლის რესურსები, თსუ, თბილის, 2012, გვ.7
[4] იქვე გვ.7.
[5] იქვე,გვ.7.
[6] ტრაპაიძე ვ. წყლის რესურსები, თსუ, თბილის, 2012, გვ.7.
[7] იქვე, გვ.7.
[8] იქვე, გვ.8.

გაწმენდა-განეიტრალება მკაცრი კონტროლის პირობებში. ამგვარი წყლით შესაძლებელია ძირითადი სხვადასხვა სახის ბალახისა და მინდვრების მორწყვა.

- *მყინვარქვეშა და მყინვარული ტბების წყლები*[9] უმაღლესი ხარისხისაა, რომელიც სასმელად გამოიყენება. ისინი განეკუთვნებიან ,,საუკუნოვანი მარაგის" წყლებს და მათი გამოყენაბა უმკაცრესად უნდა იყოს შეზღუდული,

- *ატმოსფერული ნალექები და ყინული*[10] გამოიყენებიან ექსტრემალურ სიტუაციაში სხვა წყაროების უქონლობის დროს (მაგ. არქტიკისა და ანტრაქტიკის სადგურებზე, გრენლანდიაში, შპიცბერგენზე და სხვა). ნავარაუდევია, რომ მომავალში გაიზრდება მსოფლიო ოკეანის წყლის რესურსების გამოყენება პრაქტიკული მიზნებისათვის. ამგვარი ტენდენცია უკვე შეინიშნება ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც არსებობს შესაბამისი მოთხოვნა და მაღალი ტექნოლოგია[11]. წყლის გამოყენების ამგვარ ფორმას წინ უნდა უსწრებდეს სერიოზული მეცნიერული კვლევა; უმჯობესია ეს ყველაფერი საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების ფარგლებში წარიმართოს, რათა მომავალში თავიდან იქნას დავები და კონფლიქტები აცილებული. იგივე შეიძლება ითქვას მტკნარი წყლის მარაგზე, რომელიც დაგროვილია მყარი ფაზის (ყინულის) სახით, მაგალითად ანტრაქტიდასა და გრელანდიაში.

თავისი მოცულობით, გენეზისისა და ადგილმდებარეობის მიხედვით წყლის რესურსები[12] შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ წყლის რესურსებად. კუთვნილების მიხედვით

---

[9] იქვე, გვ.8.
[10] იქვე, გვ.8.
[11] იქვე, გვ.8
[12] ტრაპაიძე ვ. წყლის რესურსები, თსუ, თბილის, 2012, გვ.8.

წყლის რესურსები შეიძლება იყოს ეროვნული, სახელმწიფოთაშორისო და საერთო (გლობალური).

ადგილობრივი წარმოშობის წყლის რესურსები[13] უშუალოდ ყალიბდებიან აღნიშნულ ადგილზე, მაგალითად მცირე მდინარეები და ტბები, რომლებიც მთლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულს ან ეკონომიკურ რაიონს. ადგილობრივი წყლის რესურსების შეიძლება ასევე ჩაითვალოს არა მხოლოდ ის რესურსები, რომლებიც ყალიბდებიან და მიედინებიან ამა თუ იმ ტერიტორიაზე, არამედ ის რესურსებიც, რომლებიც ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსადინარების საშუალებით მოზიდულია სხვა რეგიონიდან.

რეგიონალურ ზედაპირულ წყლის რესურსებში[14] მოიაზრება დიდი და საშუალო მდინარეების წყლები, რომლებიც ტრანზიტით ჩაივლიან ზევით ან ქვევით მდებარე ტერიტორიაებს. მის მაგალითად გამოდგება ევფრატი და ტიგროსი, რომლებიც სათავეს ირებენ თურქეთის ტერიტორიაზე, გაივლიან სირიისა და ერაყის ტერიტორიას და ხოლო შემდეგ კი სპარსეთის ყურეში ჩაედინებიან.

წყლის რესურსების მესამე კატეგორიას *საერთო ანუ გლობალური წყლის რესურსები*[15] მიეკუთვნება და მასში მოიაზრება ოკეანისა და ღია ზღვების წყლები, რომლებიც საერთო საკაცობრიო სიმდიდრეს წარმოადგენენ და უნდა ითქვას, რომ ამ რესურსების ათვისება-გამოყენება პრობლემური საკითხია.

---

[13] იქვე, გვ.8.
[14] იქვე, გვ.8.
[15] ტრაპაიძე ვ. წყლის რესურსები, თსუ, თბილისი, 2012, გვ.9.

როგორც ზევით აღინიშნა წყლის რესურსები საკუთების მიხედვით შეიძლება იყოს ეროვნული, სახელმწიფოთაშორიი და საერთო ანუ გლობალური.

სახელმწიფოთაშორისო წყლის რესურსებს[16] მიეკუთვნება მდინარეები, რომლებიც გადაკვეთენ და ქმნიან სახელმწიფო საზღვრებს. გარდა მდინარეებისა, სახელმწიფოთაშორისო წყლის რესურსებში მოიაზრება მეზობელ ქვეყნებს შორის გაყოფილი ტბები და წყალსაცავები.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენება, რომელსაც ჩვენ მთლიანად ექვემდებარება შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენციას და ამირგად ისინი *ეროვნული წყლის რესურსების*[17] კატეგორიას განეკუთვნებიან.

და ბოლოს რაც შეეხება საერთაშორისო წყლის რესურსებს, უმთავრესად ყურადღება გამახვილებულია მდინარეებზე. კლასიკური გაგებით ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიის გადამკვეთ ან გამყოფ, ზღვასთან ნაოსნობით შეერთებულ მდინარეებს საერთაშორისო მდინარეები ეწოდებათ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებათა თანახმად, ისინი ღიაა ქვეყნის სავაჭრო მიმოსვლისათვის [ტრაპაიძე ვ. 2012 წ] .

საერთაშორისო მდინარის ცნება შეიცავს სამ აუცილებელ ერთმანეთისაგან განუყოფელ ნიშანს:

1. გეოგრაფიულს (გასასვლელი მსოფლიო ოკეანეში)
2. პოლიტიკური (გადაკვეთს რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას)
3. იურიდიული (სათანადო ხელშეკრულების არსებობა).

[16] იქვე, გვ.9.
[17] იქვე, გვ.10.

1.2 ახლო აღმოსავლეთის ტბები და წყალსატევები

ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთი ნაწილი შედარებით წყლიანია. აქ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ტბები, რომელთა უმეტესობა მლაშეა (ვანი და თუზი - თურქეთში, მკვდარი ზღვა - ისრაელსა და იორდანიაში, ურმია - ირანში).

მტკანირი ტბებიდან აღსანიშნავია კინერეთის ტბა. იგი ამჟამად ისრაელის ტერიტორიაზე მდებარეობს და წარმოადგენს მტკნარი წყლის მთავრ რეზერვუარს. მის ნაპირზე ადრე სირიის სახელმწიფო საზღვარიც გადიოდა თუმცა, 1967 წელს ისრაელის მიერ გოლანის მაღლობების დაკავებით მან ეს ტერიტორია თავის საზღვრებში მოაქცია და ამით წყლით უზრუნველყოფის პრობლემა ნაწილობრივ მოაგვარა.

ურმიის ტბა, რომელიც ირანის ტერიტორიაზე წყლის სერიოზულ დეფიციტს განიცდის. 1972 წლიდნ 2014 წლამდე, ტბის მოცულობიდან მხოლოდ 12 %-მდე დარჩა. მდინარე არაქსი და სხვა პატარა მდინარეები ურმიის ტბას ვერ ამარაგებენ საკმარისი რაოდენობის წყლით. იგი სერიოზულ პრობლემად განიხილება და ჰასან როუჰანიმ წინა საარჩევნო დაპირებაშიც მოხდა. მისი თქმით ირანის ხელისუფლება მზადა 10 წლის განმავლობაში მოახდინოს ურმიის ტბის რეანიმაცია და ამისთვის ხელისუფლება მზადაა წელიწადში 5-მლრდ დოლარი დახარჯოს. ლოგიკურად იბადება კითხვა: როგორ უნდა შეივსოსო ურმიის ტბა? ერთ-ერთი ვერსიით, როგორც ეს ირანის ისლამური რესპუბლიკის ყოფილმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქრთველოში აბას თალებ იფარიმ 2016 წლის აპრილში განაცხადა, ირანი ურმიის ტბის აღდგენას საქართველოდან და სომხეთიდან (სევანის ტბიდან) ,,გადასროლილი“ წყლის მიღებით გეგმავს. აბას თალებ იაფრის თქმით ამისთვის ორი გზა არსებობს:

1. დასავლეთ საქართველოს მდინარეების წყის გადატუმბვა ურმიის ტბაში.

2. საქართველოს არტეზიული წყლების[18] ,,გადასროლა“ აზერბაიჯანის ტერიტრიის გავლით.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის" თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე განცახადებით პროექტის განხორციელება და მდინარეების ,,გადასროლა“ ურმიის ტბაში შესაძლოა ეკოლოგიური კატასტროფის ტოლფასი შეიძლება გახდეს.

მიუხედავად იმისა რომ საქართველო წყლის სიმცირეს არ განიცდია, ეს იმას არ ნიშნავს რომ მსგავსი მეგაპროექტები განხორციელდეს. საუბარია 28 მლრდ $მ^3$ წყლის მოცულობაზე, რაც ურმიის რეაბილიტაციას ესაჭირობა, თვალსაჩინოებისათვის წყლის ეს მოცულობა, დაახლოებით, მინგეჩაურის წყალსატევის ზომისაა.

რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ხელოვნური წყალსატევები, რომელიც როგორც სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის ასევე ჰიდროენერგეტიკული მიზნებისვის გამოიყენება. სირიაში (ტაბკა), თურქეთსა (ქებანი, ათათურქი, დილჯე და სხვა.) და ეთიოპიაში (გრანდ რენესანსი) წყალსატევების მშენებლობებმა, პოლიტიკურად არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნებს შორის ურთიერთობები.

1.3 გრუნტი წყლები და დეზალტაცია, როგორც წყლის

[18] ღრმად განლაგებულ წყალგაუმტარ შრეებს შორის მოქცეული ჰიდრავლიკურ წნევიანი მიწისქვეშა წყლები.

რესურსი

გაბატონებული მშრალი კლიმატის გამო ახლო აღმოსავლეთის სამხრეთ ნაწილში წყალის სერიოზული დეფიციტია. გრუნტი წყლების გამოყენებას რეგიონის უდაბნოების ზონაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იგი უმეტეს შემთხვევაში სასმელი წყლის ერთადერთ რესურს წარმოადგენს.

იმ ქვეყნებს რომლებთაც მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსები (გაზი და ნავთობი) გააჩნიათ, თუმცა წყლის სერიოზულ დეფიციტს განიცდიან, მათთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგეს წყლის უსაფრთხოების საკითხი. ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული შემოსავალი კარგ ინსტრუმენტს წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიკური შეღწევადობისათვის ისეთ ქვეყნებში, სადაც წყლია.

არაბთა გაერთიანებული საამიროები (აგს) მნიშვნელოვნად არის დაინტერესებული წყლის უსაფრთხოების საკითხით. აგს-ის 2019-2036 წლის, ეროვნულ უსაფრთხოების სატრატეგიაში წყლის უსაფრთხოების შესახებ სოლიდური თანხები არის გამოყოფილი. გეგმის საწყისი ეტაპი მოიცავს მილსადენების გაყვანას, ტანკერების და ზღვის წყლის გაფილტვრისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობას, რაც დაალხოებით 700 მლნ. დოლარის ღირებულებისაა. მათი გათვლით მომავალში გაწეული სამუშაოებისთბის 20 დან 25 მლრდ-მდე დოლარი შეიძლება დაიხარჯოს.

სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ფონზე მნიშველობანი გარდატეხები შეიძლება განხორციელდეს წყლის რესურსების უზრუნველყოფის მიმართულებით. ამის მაგალითს წარმოადგენს სამომავლო კონცეფცია არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ინდოეთს შორის, რომელიც ითვალისწინებს წყლის ქვეშ მუმბაისა და ფუჯაირას დაკავშირებას ერთმანეთთან. აგს-დან

განხორციელდება ნავთობის ექსპორტი, ხოლო მდ. ნარმადიდან წყლის იმპორტირება.

1.4 კასპიის ზღვასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი სამართლებრივი სტატუსი

კასპიის ზღვის გარშემო სამართებრივი დავების დაუსრულებლობა განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და მდიდარი რესურსების არსებობით. მხარებისათვის საერთაშორისო სამართლის ნორმებით მოქმედება მხოლოდ ინსტრუმენტს და მიზნის მიღწევის საშულებას წარმოადგენს რესურსების მოპოვებისათვის. კასპიის ზღვასთან დაკავშირებული დავები სცილდება წმინდა სამართლებრივ დავებს და იგი პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებებში გადადის. 436,000 კმ^2 ფართობის მქონე კასპიის ზღვა ენდორეულ ზღვის ნაირსახეობაა. მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს კასპიის ზღვის დიდ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მნიშვნელობას არის ნავთობისა და გაზის დიდი საბადოები, ასევე მდიდარი თევზჭერის პოტენციალი. სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ ნავთობის მარაგი 48 მილიარდ ბარელს აღწევს, ხოლო ბუნებრივი აირის 260-300 ტრილიონი კუბური მეტრია, რაც მსოფლიო მარაგის 8-9 %-ია, ხოლო ზუთხის რესურსის 80 %-ს.

კასპიის ზღვა, რომელსაც ასევე კასპიის ტბად მოიხსენიებენ, მნიშვნელოვან როლს თამშობს მსოფლიო პოლიტიკაში. მის გარშემო დაპირსპირებები სამართლებრი ხასიათისაა, რომელსაც ტერიტორიული,

პოლიტიკური და ეკონომიკური აპექტები ერთვის თან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მხარეები ვერ თანხმდებოდნე თუ რა პრინციპით უნდა გადანაწილებული კასპიის ზღვის სექტორები. საერთაშორისო საზღვაო სამართლი ნორმების მიხედვით გადანაწილების შემთხვევაში ზოგი ქვეყანა ნაკლებ ტერიტორიას მიიღებდა, ხოლო ტბების შესახებ არსებული ნორმების მიხედვით განაწილების შემთხვევაში კი სხვას.

კასპიის ზღვის დანიშნულება და მნიშვნელობა ისტორიის სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა და 1870-იან წლამდე ის მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციას ასრულებდა. გამომდინარე იქიდან რომ კასპიის ზღვა ,,აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა იგი ყოველთვის დიდი სახელმწიფოების დაინტერესების ობიექტი იყო. ისლამის გავრცელების და არაბული ექსპანიის პერიოდში არაბებმა დაინტერესება გამოხატეს კასპიის ზღვის მიმართ. აბასიანების მართველობის პერიოდში იგი სწორედ მათი გავლენის ქვეშ მოექცა. სეფიანთა მართველობის პერიოდში როგორც წყაროები მოწმობენ კასპიის ზღვაზე კარგად იყო განვითარებული სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობა, სადაც აქტიურ კომერციულ საქმიანობას გენუელები, ხოლო მოგვიანებით ბრიტანელი ვაჭრებიც ახორციელებდნენ.

რუსების პირველი დაინტეესება კასპიის ზღვის მიმართ გამოიხატა სამხედრო კამპანიების მოწყობით და პრინცი იგორის ლაშქრობა წარმოადგენდა ერთგვარ მცდელობას კასპიის ზღვაზე გავლენის მოპოვებისათვის, თუმცა მათი ამბიციები მონღოლთა ურდოს გამოჩენეამ დროებით შეაჩერა. რუსებმა სამხედრო კამპანიები კასპიის ზღავზე გავლენის მოპოვებისათვის მონღოლთა იმპერიის დამხობის შემდგე განაახლეს. პირველი მნიშვნელვანი მცდელობა რუსებს მოეხდინათ კასპიის ზღვისპირეთის

დაპყრობა ივანე მრისხანეს სახელს უკავშირდება. 1552-1556 წლებში რუსებმა წარმატებული სამხედრო კამპანიები განახორციელეს ასტრახანის და ყაზანის სახანოების წინააღმდეგ. რუსეთის სამეფო ტახტზე რომანოვების ასლვის შემდეგ მათი დაინტერესება კასპიის ზღვის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. ორი დიდი იმპერიალიტური სახელმწიფოს რუსეთისა და სპარსეთის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა, მას შემდეგ რაც რუსეთმა ფლოტის მშენებლობა დაიწყო კასპიის ზღავზე. სპარსელების ჰეგემნია კასპიის ზღაზე, პეტრე პირველის მიერ ჩატარებული სამხედრო კამპანიის შემდეგ, 1727 წელს, დასრულდა. სწორედ იმავე წელს დაიწყო პირველი სამხედრო პორტის მშენებლობა ასტრახანში. სპარსეთმა კასპიის ზღვაზე გავლენის აღდგენა მხოლოდ 1742 წლიდან სცადა, როდესაც ნადირ შაჰაჰმა ბრიტანელებთან თანამშრომლობით სამხედრო ფლოტის შექმნა დაიწყო, თუმცა ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ მისი ამბიციური გეგმებიც დასრულდა.

რუსეთის სამხედრო ექსპანსიამ სამხრეთის მიმართულებით იგი კასპიის ზღვის უპირობო ჰეგემონად აქცია. 1723 წლის სანქტ-პეტერბურგის და 1732 წლის რეშტისა და განჯის ტრაქტატებით განისაზღვრა რუსეთის უფლებები კასპიის ზღვაზე. რეშტის ხელშეკრულებით რუსეთს გადაეცა ის ტერიტორიები, რომელიც ადრე სპარსეთის ეკუთვნოდა. ორივე სახელმწიფომ შეინარჩუნა თავისუფალი ვაჭრობისა და ნავიგაციის უფლება მთელ კასპიის ზღვაზე და ასევე მდინარეებზე - მტკვარი და არაქსი. ამავე ხელშეკრულების თანახმად მხოლოდ რუსეთის სამხედრო ფლოტს ჰქონდა თავისუფალი ნავიგაციის უფლება, როგორც მშვიდობის, ასევე ომის პერიოდში. 1828 წლის თურქმანჩაის ზავით რუსეთის უფლებები კასპიის ზღვაზე სამართლებრივად იქნა დადგენილი. მან კიდევ უფრო გააძლიერა მისი სამართლებრივი სტატუსი კასპიის ზღვაზე. ამავე

ხელშეკრულებით სპარსეთს აეკრძალა სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება, თუმცა იმავე ხელშეკრულებით მან კასპიის ზღვაზე სავჭრო საქმიანობის წარმოების და სავაჭრო ფლოტის ყოლის უფლება შეინარჩუნა. ზემოთ აღნიშნულმა ხელშეკრულებამ შექმნა საფუძველი კასპის ზღვის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, როგორც ტერიტორიული საკუთრების, ასევე სანავიგაციო უფლებებზე, რაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე გაგრძელდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან კასპიის ზღვამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. მიზეზი კი მის დასავლეთ სანაპიროებზე მდიდარი ნავთობის საბადოების აღმოჩენა იყო. გარდა რუსეთისა, რომელიც კასპიის ზღვაზე ბტონობდა, დიდი დაინტერესება გამოხატეს ევროპულმა სახელწიფოემა. კონკრეტულად კი საფრანგეთმა, გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა. ისინი ცდილობდნენ გავლენა მოეპვებინათ კასპიის ზღვაზე ან თუნდაც მის რომელიმე სექტორზე.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია წარმოიქმნა. 1991 წლამდე იგი სსრკ-ის და ირანის საკუთრებაში იყო, თუმცა მას შემდეგ რაც აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა და თურქმენეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს კასპიის ზღვის გადანაწილების ახალი დღის წესრიგის აუცილებლობა დადგა. ამ საკითხის ირგვლივ მრავალი კონფერენცია და შეხვედრა იქნა ჩატარებული. პირველი მნიშვნელოვანი შეხვედრა მხარეებს შორის 1992 წელს ჩატარდა თეირანში და მიზნად ისახავდა კასპიის ზღვის ახალ სამართლებრივი სტატუსის გარკვევას. კონფერენცია დასრულდა ერთობლივი კომუნიკეთი. კასპიის ზღვისპირა სახელმწიფოები შეთანხმდნენ ერთობლივ მოქმედებებზე, კასპიის ზღვის ბუნებრივი რესურსების დაცვაზე,

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და სანავიგაციო ხაზების განსაზღვრაზე. ასტრახანში 1993 წლის ოქტომბერს, ხოლო დეკემბერში აშხაბადში გამრთულ შეხვედრებზე მსგავსად პირველი შეხვედრისა მხარეები მაინც ვერ შეთანხმდენ კასპიის ზღვის საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსზე. იმავე წელს მნიშვნელოვანი კონფერენცია გაიმართა მოსკოვში სადაც აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის წინადადებები განიხილეს. აზერბაიჯანული კონცეფციის თანახმად კასპიის ზღვა უნდა განსაზღვრულიყო როგორც სასაზღვრო ტბა შესაბამის სექტორებად დაყოფილი. ყაზახეთი კი საპირისპირო წინადადებით გამოვიდა და იგი მოითხოვდა კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრას გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციის მე-9 თავის მიხედვით. ორივე მხარის მიერ წამოყენებული წინადადება რუსეთისა და ირანის წინააღმდეგობას წააწყდა. საბოლო ჯამში კი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის მიერ წამოყენებული ვერსიები უარყოფილი იქნა. 1995 წელს თეირანში და შემდგომ ალმაატაში გამართულ შეხვედრებზე კასპიის ზღვისპირა სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები იქნა გამოცხადებული. მხარეები შეთანხმდენ ერთამნეთის ტერიტორიული სუვერენიტეტისა და მთლიანობის პატივისცემაზე; კასპიის ზღვა გამოცხადდა როგორც დემილიტარიზებულ ზონად და იგი მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოიყენება. ამავე შეხვედრაზე მხარეები კასპიის ზღვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სამუშაოების და გარემოს დაბინძურებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე შეთანხმდნენ.

მრავალმხრივი შეხვედრებისა და შეთანხმებების პარალელურად კასპიის ზღვისპირა სახელმწიფოები ბილატერალურ შეთანხმებებსაც დებდნენ ერთმანეთან. 1998 წელს რუსეთის ფედერაციამ და ყაზახეთმა მოაწერეს ხელი

შეთანხმებას კასპიის ზღვის აუზის დელიმიტაციას ორ სახელმწიფოს შორის. 2003 წლის მაისში ალმაატაში გამართულ შეხვედრაზე ხელი მოეწერა სამმხრივ შეთანხმებას კასპიის ზღვის ფსკერის დელიმიტაციის შესახებ, რომლის თანახმადაც რუსეთმა მიიღო 19 %, ყაზახეთმა 29 % და აზერბაიჯანმა 18%. 2007 წელს თეირანში, 2010 წელს ბაქოში გამართულ შეხვედრებზე კასპიის ზღვისპირა სახელმწიფოების ლიდერებმა გამოსცეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც კვლავ ადასტურებდა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვირსა და კონვენციის შექმნის აუცილებლობას.

2018 წლის აგვისტოში ყაზახეთის საპორტო ქალაქ აქტაუში, ნურსულტან ნაზარბაევის მოწვევით, მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა კასპიის ზღვისპირა სახელმწიფოს ლიდერებს შორის, სადაც 12 აგვისტოს ხელი მოაწერეს კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუზე. მხარეები 20 წლის მანძილზე ვერ თანხმდებოდნენ კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსზე. 1996 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი პრობლემა იყო კასპიის ზღვა ზღვების შესახებ საერთაშორისო ნორმებითა და კონვენციების მიხედვით გაყოფილიყო სახელმწიფოებს შორის, თუ ტბების შესახებ არსებული ნორმებით. უნდა ითქვას, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ბოლო ვარიანტს მხოლოდ ირანი ემხრობოდა, რადგანაც ტბების შესახებ არსებული ნორმების მიხედვით მას ორჯერ მეტი ტერიტორა ერგებოდა, ვიდრე ზღვების შესახებ არსებული კონვენციის მიხედვით გაყოფის შემთხვევაში.

დოკუმენტი რომელსაც აზერბაიჯანმა, ირანმა, თურქმენეთმა და ყაზახეთმა მოაწერეს ხელი კასპიის ზღვის ზედაპირის ძირითადი ნაწილის საერთო მოხმარებაში დატოვებას ითვალისწინებს, მისი ფსკერი და წიაღისეული ორმხრივი შეთანხმებებით და სერთაშორისო ნორმებს გათვალისწინებით

გაიყოფა. შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიმე სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების ყოფნის დაუშვებლობაა. ქვეყნის ლიდერები შეთანხმდნენ რომ უსაფრთხოებას კასპიის ზღვისპრეთის ხუთეული უზრუნველყოფს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი უწოდა კონვენციის იმ ნაწილს რომელიც ეხება ტერორიზმთან ბრძოლას. ასეთ მნიშვნელობას, რუსეთის პრეზიდენტის აზრით, განსაზღვრავს კასპიის ზღვის რეგიონის სიახლოვე ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთთან.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტს ხუთივე სახელმწიფოს ლიდერმა მოაწერა ხელი, ბოლომდე არ გადაუჭრია კასპიის ზღვის გარშემო არსებული პრობლემური საკითხები. როგორც ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ განაცხადა საზღვაო საზღვრების დელიმიტაცია ირანისთვის კვლავ პრობლემად რჩება. მან ასევე განაცხადა, რომ საჭიროა განისაზღვროს თუ რა მოვალეობები აქვს კასპიის ზღვისპირა ქვეყნებს გარემოს დაცვის უზრუნვესაყოფად. ირანის მხრიდან დადებითად შეფასდა კონვენციის ის ნაწილი, რომელიც გამორიცხავს კასპიის ზღვაში სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების ყოფნას და განაცხადა რომ აკრძალვა ასევე უნდა ვრცელდებოდეს კასპიის ზღვის გავლით უცხო ქვეყნის სახედრო გადაზიდვებზე.

ირანი და კასპიის ზღვისპირეთის ქვეყნები, განსაკუთრებით კი რუსეთი დაინტერესებულნი არიან ახლი საზღვაო სატრანსპორტო დერეფანის (კასპიის ზღვა-სპარსეთის ყურე) შექმნით, რომელითაც კასპიის ზღვა 600 კილომეტრიანი არხით დაუკავშირდება სპარსეთის ყურესა და არაბეთის ზღვას (**იხ. სურთი1.2**) , რაც ბუნებრივია ამ რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდას გამოიწვევს.

ეს ისტორიული მნიშვნელობის პროექტი 1889-1892 წლებში აქტიურად განიხილებოდა თუმცა, გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა, დღეს კი ტექნიკური-სამეცნიერო მიღწევების მეშვეობით უფრო რეალურად გამოიყურება ამ პროექტის განხორციელება.

იმ შემთხვევაში თუ ეს პროექტი მართლაც განხორციელდება, მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობაში. მნიშვნელვანად შეიცვლება გეპოლიტიკურ და გეოეკონომიკური მდგომარეობა, როგორც რეგიონში ასევე მსოფლიოს მასშტაბით.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდება ტვირთის ტრანსპორტირების დრო ინდოეთიდან და ჩინეთიდან რუსეთისა ცენტრალური ევროპის მიმართულებით. ექსპერტები ვარაუდობენ რომ ტვირთის ტრანსპორტირების დრო 40 დღიდან 14 დღემდე შემცირდება.

1.2 საზღვაო სატრანსპორტო დერეფანი (კასპიის ზღვა-სპარსეთის ყურე)[19]

[19] https://orientalreview.org/2016/04/11/a-caspian-canal-not-so-fast/

თავი II

ახლო აღმოსავლეთის სრუტეების გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

გეოგრაფიული ფაქტორები მრავალი სახის შეიძლება იყოს, ერთ-ერთი კი გეოგრაფიული მდებარეობაა. ნებისმიერი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას აქვს თავისი მნიშნელობა და როლი საერთაშორისო

პოლიტიკაში. სპაიკმანის[20] მიხედვით, ნებისმიერი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარებას თავის საგარეო პოლიტიკა შეესაბამება.

სრუტის მიმდებარედ ყოფნა სფეციფიკურ გეოგრაფიულ პოზიციას ნიშნავს. სრუტეები ეკონომიკური, პოლიტიკური, სტრატეგიული მდებარეობის გამო მნიშვნელოვანია. იგი ასევ მნიშვნელვანია თუნდაც იმ მიზეზის გამო რომ მათი მეშვეობით რეგიონები, სახელმწიფოები ერთმანეთს უკავირდებიან. სწორედ ამ მიზეზთა გამო სრუტეები ყოველთვის დიდი დაინტერესების ობიექტი იყო წამყვანი აქტორების მხრიდან უძველესი დროიდანვე. ბრიტანეთის სამეფო საზღვაო ადმირალები ადმირალ ფიშერი და ფილიპ კოლომბო ჰორმუზის სრუტეს, მალაკას, გიბრალტარს, სუეცსს, დოვერსა და სინგაპურს ,,მსოფლიოს გასაღებს“ უწოდებდნენ. სრუტეები მნიშვნელოვანია პროდუქტებისა და საქონლის ტრანსპორტირებისათვის, განსაკუთებით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატანდ და მათი ჩაკეტვა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზსს იწვევს. სრუტეები წარმოადგენენ უმოკლეს გზას მიმდებარე ხმელეთთან დასაკავშირებლად. ისინი გავლენას ახდენენ ეროვნულ სიძლიერეზე და ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე, ასევე საზღვაო და სახმელეთო სტრატეგიების შემუშავების დროს მათი დიდი ყურადღება ეთმობა.

2.1 ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საერთაშორისო მნიშვნელობა

[20] ნიკოლას სპაიკმანი (1893-1943 წ.წ) რეალიზმის სკოლის წარმომადგენელი, პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი.

ბოსფორის (აერთებს მარმარილოს ზღვას შავ ზღვასთან. სიგრძე 30 კმ) და დარდანელის (აერთებს ხმელთაშუა ზღვას მარმარილოს ზღვასთან. სიგრძე 67 კმ) სრუტეები წარმოადგენს წყლის ორ ვიწრო გასასვლელს, როლის მეშვეობით შავი ზღვა უკავშირდება ხმელთაშუა ზღვას, ხოლო შემდეგ კი მსოფლიო ოკეანეს.

ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს თავიანთი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ისტორიის ყველა პერიოდში ჰქონდა უდიდესი ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგული მნიშვნელობა. უძველესი დროიდან აქ თავს იყრიდა საზღვაო და სახმელეთო ზღვები, რომელიც შემდგომ ორი მატერიკის სხვადასხვა პუნქტებისკენ მიემართებოდა.

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული სრუტეების მეშვეობით სწარმოებდა აქტიური სავაჭრო და სახმელეთო ვაჭრობა შავი ზღვისპირა ქვეყნებსა და სხვა კულტურულ ცენტრებს შორის.

ბოლო ორი ათსაწლეულის განმავლობაში თურქეთის სრუტეებს ფლობდა მხოლოდ ორი სახელმწიფო თავის სამართალმემკვიდრეებთან ერთად - რომი/ბიზანტია და ოსმალეთი/თურქეთი (XIII საუკუნის პირველ ნახევარში სრუტეებს ხანმოკლე დროით აკონტროლებდნენ ჯვაროსნები) [გაჩეჩილაძე რ. 2018 წ.].

მას შემდეგ, რაც 1453 წელს კონსტანტინოპოლი დაეცა, სრუტეებს ოსმალეთის სახელმწიფო დაეპატრონა. XVI-XVII საუკუნეებში თურქებმა მოახერხეს მთელი შავი ზღვისპირეთის დამორჩილება და შავი ზღვა დახურულ ,,თურქეთის ტბად“ აქციეს. მას შემდეგ აღმოსავლეთი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად მოწყვლადი გახდა და დიდი ხნის განმავლობაში ჩამოშორდა დასავლეთს.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის სახელმწიფოს სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა შავ ზღვაზე რუსეთის მზარდი იმპერიის სახით, რომელიც ნელ-ნელა სამხრეთისკენ და შავი ზღვისაკენ მიისწრაფოდა. 1696 წელს პეტრე პირველმა აზოვის ზღვის აღება მოახერხა, თუმცა ეს მაინც არაფერს ნიშნავდა, რადგნაც სრუტეებზე და შავი ზღვისპირეთის უმეტეს ნაწილზე ჯერ კიდევ თურქეთის ძალაუფლება ვრცელდებოდა.

შავ ზღვაზე და სრუტეებზე გავლენის მოპოვებისათვის ოსმალთა სახელმწიფომ და რუსეთის იმპერიამ მრავალი ომი გადაიხადა. 1774 წლის ქუჩუკ-კინარჯის ზავით რუსეთი დაეუფლა აზოვის ზღვას და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილს. ამავე ხელშეკრულების 11 მუხლით რუსეთმა შავ ზღვაზე თავისუფალი ვაჭრობის უფლება მოიპოვა. შავი ზღვა, რომელიც ადრე თურქეთის დახურულ ტბად მოიაზრებოდა, ზავის დადების შემდეგ, ნახევრად დახურულ ზღვად გადაიცა. თუმცა რუსეთი ამით არ კმაყოფილდებდა და მათ წინ მიმავალი გეგმები გააჩნდათ შავ ზღასთან დაკავშირებით. თუმცა იგი ევროპული სახელმწიფოების მხრიდან დიდი წინააღმდეგობებს აწყდებოდა, რადგანაც მათ თავიანთი მნიშვნელოვანი მიზნები და გეგმები გააჩნდათ შავი ზღვის სრუტეებთან დაკავშირებით და ძნელად შეეგუებოდნენ რუსეთის გავლენას შავი ზღვის გასასვლელებზე.

ანდრიანოპოლის 1829 წლის ხელშეკრულებით სრუტეებზე აღიარებული იქნა სავაჭრო ნაოსნობის სრული თავისუფლების პრინციპი, როგორც რუსეთისათვის, ასევე სხვა ქვეყნებისათვის.

ბოსფორისა და დარდანელის მნიშვნელობა გასცდა რეგიონის ფარგლებს და იგი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს განსკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დროს.

თანამედროვე ეტაპზე ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო პოლიტიკაში. იგი მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამხედრ-სატრატეგიულ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ობიექტებს წარმოადგენენ.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების სამართლებრივ საკითხს 1936 წელს მიღებული მონტრეს კონვენცია არეგულირებს, რომელმაც 1923 წელს ლოზანის ხელშეკრულება ჩაანაცვლა. კონვენციის მიხედვით აღდგა თურქეთის სამართლებრივი სტატუსი სრუტეებზე. მონტრეს კონვენცია არეგულირებს არაშავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების ყოფნის რეჟიმს. კონვენციის მიხედვით იზღუდება არაშავიზღვისპირა სამხედრო გემების გატარება მათი კალსის, ტონაჟის და შავი ზღვის აუზში ყოფნის ვადების მიხედვით. არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემების შავ ზღვაში ყოფნა მხოლოდ 21 დღით არის დასაშვები.

ბოლო პერიოდში რუსეთში მონტრეს კონვენციის გადახედვაზე ლაპარაკდნენ. კონვენციის გადახედვის მთავრ მიზეზად, ნატოს მხრიდან სამხედრო გემების ხშირ სტუმრობას ასახელებნ, რაც შესაძლოა პროვოკაციისა და ინციდენტის მიზეზი გახდეს და შავი ზღვის უსაფრთოებას შეექმნას პრობლემა.

თურქეთი, რომელიც თავის სამართლებრივ უფლება-მოვალეობას ახორციელებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე მოითხოვს რომ შავი ზღვის და მარმარილოს ზღვის სრუტეების ნაცვლად დამკვიდრდეს ტერმინი ,,თურქეთის სრუტეები“, რაც ნაწილობრივ დასავლეთის სამეცნიერო წრეებში უკვე, ნელ-ნელა მკვიდრდება.

2.2 ჰორმუზის სრუტის მნიშვნელობა სპარსეთის ყურის ქვეყნებისათვის

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში გეოგრაფიულ მდებარეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რაც უმეტესწილად განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნებისა თუ რეგიონის პოლიტიკურ მდგომარეობას. თუ გადავხედავთ მსოფლიო პოლიტიკურ რუკას, ადვილი შესამჩნევია ის ფაქტი რომ კონფლიქტების უმრავლესობა სწორედ ისეთ მნიშვნელვან ადგილებზე მოდის, სადაც ენერგეტიკული რესურსებია თავმოყრილი. ენერგეტიკული რესურსები და ბუნებრივი მდებარეობა ხშირად განსაზღვრავს ქვეყნის მდგომარეობას და უმეტესწილად უარყოფითი შედეგის მომტანია.

არსებული მდგომარეობა გამოწვეულია მსოფლიოს წამყავნი აქტორების მხრიდან მზარდ მოთხოვნაზე ბუნებრივ რესურსებთან, რის შედეგადაც ისინი პირადაპირ თუ ირიაბდ ერევიან ისეთი სახეხელმწიფოს შიდა საქმეებში სადც თავმოყრიალია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსები. რისი უმარავი მაგალითიც არის ცნობილი.

ერთის მხრივ მნიშვნელოვანია ბუნებრივი ენერგეტიული რესურსების მოპოვება და დამუშავება, თუმცა მნიშვნელოვანია ასევე მათი ტრანსპორტირების და დანიშნულების ადგილამდე ჩასვლის საკითხი, რის გამოც ამა თუ იმ რეგიონის ან სახელმწიფოს რომელიმე სექტორი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს ამ მიმართულებით. სწორედ კონკრეტული ადგილის თუ რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობა განპირობებულია მისი სატრანზიტო სტრატეგული მნიშვნელობიდან

გამომდინარე, რომელსაც ლოგიკურად სატრანზიტო დერეფნის უსაფრთხოების საკითხამდე მივყავართ.

გამომდინარე იქიდან რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, კონკრეტულად კი სპარსეთის ყურის სექტორი უნიკალურია ნავთბისა და გაზის საბადოებით იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თმაშობს მსოფლიო პოლიტიკაში, სადაც წამყვანი სახელმწიფოები აქტიურ პოლიტიკას აწარმებენ რესურსების მოპოვებისა და გადანაწილებისთვის.

სპარსეთისა და ომანის ყურეების დამაკავშირებელი ჰორმუზის სრუტე (სიგრძე 185კმ) გეოპოლიტიკიური და გეოეკონომიკური დატვირთვა გააჩნია, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ასევე გლობალური დონზე.

ჰორმუზის სრუტე ისტორიის სხვადასხვა პერიდში მრავალი სახელმწიფოს დაინტერესებს ობიექტს წარმოადგენდა. სხვადასხვა დროს ჰორმუზის სრუტის კონტროლისათვის პორტუგალიის, საფრანგეთის, ინგლისის, ირანისა და სხვა არაბული სახელმწიფოების ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა.

ჰორმუზის სრუტის გარშემო დაპირისპირებები დღემდე მოუგვარებელი საკითხია ირანსა და გაერთიანებულ არაბულ საამიროებს (გას) შორის. კონკრეტულად კი დავის საგანს სრუტეში არსებული სამი კუნძული (აბუ მუსა, დიდი და პატარა თონბი) წარმოადგენს. 1971 წლიდან ირანის de facto განკარგულებაშია. საერთაშორისო დონეზე პრობლემას წარმოადგენს ირანი, რომელიც გავლენეას ჰორმუზის სრუტეზე თავისი პოლიტიკის მიზნებისთვის იყენებს.

ნავთობის უნიკალური საბადოების რაოდენობით მსოფლიოში კონკურენტგარეშეა სპარსეთის ყურე, აღნიშნული რეზერვები გენეტიკურად

არიან დაკავშირებულნი არაბეთის და მესოპოტამიის ქვაბულის დანალექ ქანებთან. სწორედ აქ არის თავმოყრილი უმსხვილესი სანავთობო საბადოები - გავარი (საუდის არაბეთი), აგა-ჯარი (ირანი) და დიდი ბურგანი (ქუვეითი). თითოეულში საწყისი მარაგები 10 მლრდ. ტონით განისაზღვრება.

ტანკერების მეშვეობით, ნავთობის საზღვაო გადაზიდვების 40 %-მდე ჰორმუზის სრუტეზე მოდის. მსოფლიოში არსებულ ცხრა გამშვებ პუნქტებს შორის ჰორმუზის სრუტე ყველაზე მნიშვნელოვან და დატვირთულ პუნქტს წარმოადგენს. აშშ-ის ენერგეტიკის საინფორმაციო სააგენტოს ცნობების მიხედვით სრუტიდან ყოველდრიურად 15 ნავტობტანკერი გადის, რომლებსაც 17 მლნ ტონაზე მეტი ნავთობი გადააქვთ ამერიკის, ევროპის, ინდოეთის, ჩინეთისა და იაპონიის მიმართულებით (მალაკას სრუტის გავლით 13 მლნ ტონა, ბაბ-ელ-მანდების სრუტის გავლით 3.5 მლნ ტონა და სუეცის არხის გავლით 3.9 მლნ ტონა).

1970-იანი წლებიდან ირანმა საკუთარ თავზე აიღო რეგიონული ლიდერის როლი ჰორმუზის სრუტესა და ინდოეთის ოკიანეში. ირანის გავლენის ზრდა რეგიონში გამოიწვია შემდეგმა განვითარებულმა მოვლენებმა[21]:

1. 1971 წელს ბრიტანული სამხედრო ძალების გასვლა სპარსეთის ყურიდან.
2. ნავთობზე ფასების მომატება, რამაც ირანის ეკონომიკა მნიშვნელოვნად გააძლიერა.
3. ინდოეთ-პაკისტანის ომი, რომელმაც პაკისტანის გაყოფა გამოიწვია.

[21] The Geopolitics of the Strait of Hormuz and the Iran-Oman Relations, გვ.28. http://www.isrjournals.com/images/pdf/2-valdani-en-8.pdf

4. დოფარის ომი და ომანის უძლურება ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

5. საბჭთა კავშირის საზღვაო სამხედრო მშენებლობებმა ინდოეთის ოკეანეში.

ირანის შაჰის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ირანის საზღვაო საზღვრების უსაფრთხოება ჰორმუზის სრუტე და ომანის ზღვა მოიცა, ხოლო ომანის ზღვიდან კი თავისთავად ინდოეთის ოკეანეც[22].

ჰორმუზის სრუტეზე გავლენები გარდა ირანისა ასევე გააჩნია ომანსაც. ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ისინი ერთობლივად განაგებენ გასასვლელს. ჰორმუზის სრუტე არა მხოლოდ არხია ირანსა და ომანს შორის, იგი მნიშვნელოვანი გამტარი იყო ირანული კულტურისა და ცივილიზაციის ომანში[23]. ირანელებმა თავის დროზე, ომანში ააშენეს ქალაქები, ასევე განავითარეს სოფლის მეურნეობა და მოაწესრიგეს სარწყავი სისტემები, რომელიც დღემდე გამოიყენება. თანამედროვე ეტაპზე ტრანსპორტირების გამო ჰორმუზის სრუტემ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ირანსა და ომანის ურთიერთობებში და ქვეყნები ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა, როგორც სატრანსპორტო ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებითაც. ბანდარ აბასი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ირანული საზღვაო პორტია ჰორმუზის სრუტეში, აკავშირებს ორი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო სისტემას ერთმანეთთან. პირველი ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანი, რომელიც ბანდარ აბასს აკავშრებს ცენტრალურ აზიასთან და მეორე- აღმოსავლეთ-

[22] The Geopolitics of the Strait of Hormuz and the Iran-Oman Relations, გვ.28.http://www.isrjournals.com/images/pdf/2-valdani-en-8.pdf
[23] იქვე, გვ.13.

დასავლეთის სატრანსპორტო სისტემა. ამის ქსელების მეშვეობით ომანს შეუძლია დაუკავშირდეს როგორც ცენტრალურ აზიას ასევე ევროპას.

ირანის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჰორმუზის სრუტეზე. ირანის საგარეო ვაჭრობის 80 %-ზე მეტი ჰორმუზის სრუტის მეშვეობით ხორციელდება. ირანი ნავთობის მთლიან ექსპორტირებას ჰორმუზის სრუტის გავლით ახორციელებს, განსხვავებით არაბული ქვეყნებისგან რომლებიც ნავთობის ტრანსპორტირებას მილსადენების მეშვეობით ახორცილებენ. სწორედ ამიტომ ირანს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები გააჩნია ჰორმუზის სრუტის მიმართ.

განსხვავებით სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებისგან ომანი მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ჰორმუზის სრუტეზე. მისი საჭიროება ჰორმუზის სრუტის მიმართ სპარსეთის ყურეში ვაჭრობით შემოიფარგლება. ომანი სპარსეთის ყურის ერთადეთ ქვეყანად ითვლება რომელსაც არ გააჩნია მნიშვნელოვანი საზღვაო პორტი. თუმცა ეს მას არ ზღუდავს. მის სამხრეთ ნაწილში მნიშვნელოვანი პორტებია, რომლის მეშვეობით იგი ადვილად უკავშირდება მსოფლიო ოკიანეს.

ირანისა და ომანის სტრატეგიული მნიშვნელობა გლობალურ ასევე რეგიონულ დონებზე უმეტესწილად ჰორმუზის სრუტით არის განპირობებული. ირანისა და ომანის მიერ ჩრდილოეთ-სამხრეთის ტერიტორიის მფლობელობა მათ საშუალებას აძლევს აკონტროლონ ჰორმუზსი სრუტე. სპარსეთის ყურის ქვეყნებს და მაღალგანვითარებული სახელმწიფოებს გაცნობიერებული აქვთ ირანისა და ომანის განსაკუთრებულ როლი საერთაშორისო ურთიერთობებში სრუტეზე მათი უფლებების გამო. გეოპოლიტიკური უპირატესობით ირანი

გამოირჩევა და მას უკეთესი პოზიციები გააჩნია ომანთან შედარებით რამდენიმე მიზეზის გამო[24].

1. აქვს უფრო მეტი ტერიტორია.
2. მოსახლეობის მზარდი დინამიკა, კულტურული და რელიგიური გავლენის მახასიათებლებით
3. უფრო დიდი სანაპირო ზოლი
4. სამხედრო სიძლიერე, როგორც ხარისხობრივად ასევე რაოდენობრივად
5. გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი რეზერვები
6. ტექნიკური შესაძლებლობები სრუტის კონტროლისთვის და სხვა.

ირანის მზარდ გავლენას რეგიონში დასავლეთი, კონკრეტულად კი ამერიკის შეერთებული შტატები მეტად სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს. ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ირანის ბირთვული პროგრამიდან გამოსვლა სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს. ირანი ხშირად იმუქრება რომ იგი ჰორმუზის სრუტეს გადაკეტავს, რაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ფინასურ კრიზის გამოიწვეს, როგორც რეგიონის ქვეყნებისთვის ასევე მსოფლიოს მაშტაბით. ენერგოუსაფრთხოების საკითხი მნიშვნელოვან გამოწვევას წრმოადგენს ამერიკისათვის, სწორედ ამიტომ ცდილობს რომ ირანზე მოახდინოს ზეწოლა.

2019 წლის ივნისში ომანის ყურეში ორ ნავთობტანკერზე აფეთქება მოხდ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ ქმედებაში ირანი დაადანაშაულა. ფაქტიდან მალევე ბრიტანეთმა მიიღო გადაწყვეტილება

[24] The Geopolitics of the Strait of Hormuz and the Iran-Oman Relations
http://www.isrjournals.com/images/pdf/2-valdani-en-8.pdf

სპარსეთის ყურეში თავისი ომალდების დასაცავად სამხედროები გააგზავნოს. მომხდარმა ფაქტმა ნავთობის ფასებზე იქონია გავლენა. ირანულმა მხარემ კი აშშ-ის ბრალდება უარჰყო.

მდგომარეობა სპარსეთის და ომანის ყურეში დღითიდღე იძაბება და სულც არ არის გამორიცხული რომ დასავლეთსა და ირანს შორის ურთიერთობა სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს.

თავი III

წყლის სიმცირით გამოწვეული კონფლიქტები რეგიონში

წყლის რესურსები ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსია. მეოცე საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის ფორმირებისას სახელმწიფოები ცდილობდნენ თავინთი ქვეყნის საზღვრები წყლით მდიდარ რეგიონში მოექციათ, რამაც შემდგომში სერიოზული წყლის კონფლიქტები გამოიწვია. ეევფრატი, ტიგროსი, ორონტესი და მდინარე ნილოსი წყლის სერიოზულ რესურსს წარმოადგენენ წყალმცირე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. სახელმწიფოები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წყალი შეაკავონ თავიანთ ტერიტორიაზე რათა ამით უზრუნველყონ სოფლის-მეურნეობს წარმოება და ამავდროულად მიიღონ ჰიდროელექტროენერგიაც.

3.1 წყალთან დაკავშირებული პრობლემები ებრაულ და არაბულ ქვეყნებს შორის

წყლის პრობლემა ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებს შორის დღემდე მოუგვარებელ საკითხად რჩება. ჯერ კიდევ ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, სიონისტური მოძრაობის ფუძემდებლები ცდილობდნენ მომავალი ებრაული სახელმწიფოს საზრვრები მოექციათ ახლო აღმოსავლეთის წყლთ მდიდარ რაიონებში (მდ. ლიტანი, მდ. იორდანე და გოლანის მაღლობები ლიბანის სანაპირო ზოლი და დასავლეთ ნაპირი). სიონისტური მოძრაობის მიერ 1873 წლიდან დაწყებულმა საქმიანობამ სულ მალევე გამიღო შედეგი და ბრიტანეთთან თანამშრომლობის წყალობით, 1917 წლის ნოემბერში, ებრაელი ემიგრანტებისათვის პალესტინის კარი ოფიციალურად გაიღო. ამ მოვლენას წინ უსწრებდა 1916 წელს საიქს-პიკოს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გავლენის სფეროებად გადაინაწილეს. საფრანგეთს წილად ხვდა სირია-ლიბანი, ხოლო მესოპოტამიაა და პალესტინა დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ მოექცა. ხელშეკრულების მიხედვით წყლის რესურსები გაურკვეველად გადანაწილდა მხარეებს შორის. წყლის რესურსებს საერთაშორისო პოლიტიკაში ამ პერიოდისათვის დიდი ყურადღება არ ეთმობოდა, თუმცა სულ მალევე პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის შემდგომ ყველა პოლიტიკური ერთეული ცდილობდა თავის ტერიტორიაზე რაც შეიძლება დიდი რაოდენობის წყლის რესურსები მოექცია.

სიონისტური მოძრაობის საქმიანობისა და დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობის შედეგად ებრაელებს შესაძლებლობა მიეცათ აღთქმულ მიწაზე დაბრუნებულიყვნენ. მათმა ჩასვლამ პალესტინის ტერიტორიაზე დემოგრაფიული სურათი შეცვალა, რასაც ადგილობრივი არაბების მხრიდან

პროტესტი, ხოლო, შემდგომ კი 1929 წელს ემიგრნტი ებრაელების ჟლეტა მოჰყვა.

სინისტური მოძრაობის დამფუძლებლებს თავიდანევე ესმოდათ წყლის რესურსების მნიშვნელობა მომავალი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში და ისინი ბრიტანეთთან აქტიურ თანამშრომლობას აგრძელებდნენ, რათა მომავალი ებრაული სახელმწიფო წყლის რესურსებით უზრუნველი ყოფილიყო. იდეა, რომ ისრაელის სახელმწიფოს საზღვრები წყლით მდიდარ რეგიონში (მდ. ლიტანი, მდ. იორდანე და გოლანის მაღლობები ლიბანის სანაპირო ზოლი და დასავლეთ ნაპირი) მოქცეულიყო თეოდორ ჰერცლის სახელს უკავშირდება. მათ როგორც ჩანს არ აკმაყოფილებდათ პალესტინის ის ტერიტორია რომელზეც ბრიტანეთის მანდატი ვრცელდებოდა და ასევე დამატებით მოითხოვდნენ პალესტინის იმ ტერიტორიის წყლის რესურსების ათვისებას რომელზედაც ბრიტანეთის მანდატი არ ვრცელებდა. ამისთვის მათ შეიმუშავეს ორი ძირითადი სტრატეგია:

1. პალესტინაზე სრული ჰეგემონობა და წყლის რესურსების სრული ათვისება სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ემიგრანტი ებრაელების წყლით დაკმაყოფილებისა და მათი დასაქმების უზრუნვესაყოფად.

2. პალესტინის მოსაზღვრე წყლის რესურსებით მდიდარი რაიონების ებრაელთა მომავალი სახელმწიფოს საზღვებში მოქცევა.

1919 წელს თებერვალში სიონისტური მოძრაონბის მიერ გაგზავნილ წერილში პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ნათქვამი იყო: „პალესტინის ეკონომიკური სიძლიერე, როგორც ნახევრად მშრალი ტერიტორია დაკავშირებულია წყლის რესურსების დაუბრკოლებელ მოხმარებასთან და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მის საზღვრებში არესბული წყლის რესურსების

ათვისება, არამედ ამ რესურსების ათვისების გაკონტროლებაც“. ამ წერილის მიხედვით ნათელია რომ ჯერ არ შექმნილი ისრაელის სახელმწიფოსთვის წყლის რესურსების განკარგვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესს წარმოადგენდა.

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ კი მდინარე იორდანეს აუზში მკვეთრად დაიძაბა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც დეკოლონიზაციის პროცესი დაიწყო და მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე დამოუკიდებელი სუბიექტები (იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო, სირია, ლიბანი, ისრაელი და პალესტინა) გამოვიდნენ. პალესტინაში ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში, რასაც შედეგად მოჰყვა 1948-49 წლებში ომის გაჩაღება და პალესტინის დღემდე მოუგვარებელი საკითხი.

სამანდატო პალესტინაში ევროპის კონტინენტიდან წამოსულმა ებრაელების მზარდამა ნაკადმა დაძაბა სიტუაცია პალესტიანში ებრაელებსა და არაბებს შორის, რამაც არაბებების მხრიდან მრავალი ლოკალური კონფლიქტი, ხოლო 1936-1939 წლებში დიდი ანტიბრიტანული აჯანყებაც გამოიწვია. პალესტინაში დიდი ბრიტანეთი უკვე სერიოზულ წინააღმდგობას აწყდებოდა არაბების მხრიდან და მდგომარების განსამუხტავად სჭირო იყო ახალი ქმედითი ნაბიჯები გადადგმულიყო. ბრიტანეთის მთავრობამ შექმნა კომისია ლორდ რობერტ პილის ხელმძღვანელობით, რომელსაც პალესტინის საკითხი უნდა გადაეჭრა. თავის ,,თეთრ წიგნში (1937 წ.) მდგომარების განსამუხტავად ის მანდატის დასრულებას მიიჩნევდა. მისი რეკომენდაციით პალესტინაში ებრაული და არაბული მოსახლეობა უნდა გამიჯნულიყო ერთმანეთისგან ინგლისის კონტროლქვეშ დატოვებული მომცრო ზონით და

პალესტინის ტერიტორიაზე უნდა მომზადებულიყო ახალი სამანდატო ტერიტორია რომელიც ებრაული და არაბული სახელმწიფოს შექმნამდე გაგრძელდებოდა. პილის ეს შეთავაზებები მიუღებელი აღჩნდა ორივე მხარისათვის, განსაკუთრებით არაბებისთვის. დიდი ბრიტანეთი მათ პალესტინის ტერიტორიის 60 %-ს სთავაზობდა, ხოლო ისინი კი პალესტინის მთელ ტერიტორიას მოითხოვდნენ. ამის პარალელურად ებრაელების ნაკადი პალესტინის ტერიტორიაზე დღითი დღე იზრდებოდა, მიუხედავად იმისა რომ დიდმა ბრიტანეთმა გარკვეული შეზღვუდები დაუწესა (პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული მოსახლეობას 1/3 - ისათვის არ უნდა გადაეჭარბებინა; ზოგიერთ ტერიტორიაზე ებრაელებს აეკრძალათ მიწის შეძენა, ზოგან კი შეიზღუდა) ებრაულ მხარეს, ისინი მაინც აგრძელდებდნენ არალეგალურ იმიგრაციას. 1920 წლისათვის ებრაელების რაოდენობა 67 ათას არ აღემატებოდა, მათი რაოდენობამ 1947 წლისათვის 600 ათასს მიაღწია, ძირითად, ევროპიდან ნაცისტური რეჟიმს გადარჩენილი ადამიანები იყვნენ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაუძლურებულ დიდ ბრიტანეთს აღარ გააჩნდა შესაბამის რესურსები იმისთვის რომ პალესტიაზე მანდატთ აღებული ვალდებულებები შეესრულებინა. ამიტო მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო თავისი უფლება-მოვალეობები და პალესტინის პრობლემების მოგვარების საკითხი ახლად შექმნილ გერთიანებული ერების ორგანიზაციას მიენდო.

გაეროს პეციალურმა კომისაიამ, რომელმაც რეზოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე მოინახულა პალესტინიის ტერიტორია, დაასკვნა რომ ებრაელებისა და არაბების ერთად თანაარესებობა ერთ სახელმწიფოში შეუძებელია[25]. 1947

[25] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი გეოპოლიტიკა, ტომი II, თბილისი, 2019, გვ. 219.

წლის ნოემბერში გაერომ მიიღო რეზოლუცია 181 (II) რომელიც პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფას და იერუსლიმის ცალკე რაიონად საერთაშორისო კონტროლს ქვეშ დაქვემდებარებას უჭერდა მხარს. გაეროს რეზოლუცია გარვეულწილად ემთხვეოდა ,,პილის კომისიის“ (1937 წ.) რეკომენდაციებს[26], თუმცა იყო მნიშვნელვანი განსხვავებებიც.

გაეროს რეზოლუციის თანახმად ებრაულ სახელმწიფოს პალესტინის ტერიტორიის (იერუსალიმის გარეშე) 56.47 % დარჩა, სადაც ცხობრობდა 498 ათასი ებრაელი და 325 ათასი არაბი[27]. არაბულ სახელმწიფოს სამანდატო პალესტისნის ტერიტორიის (იერუსალიმის გარეშე) დარჩენილი 43.53 % ხვდა წილად, სადაც 800 ათასზე მეტი არაბი და 10 ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა. რაც შეეხება იერუსალიმის რაიონს, სადაც იმ პერიოდისათვის 105 ათასი არაბი და 100 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, იგი საერთაშორისო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა[28].

უნდა ითქვას რომ საერთაშორისო აქტორები პალესტინის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს შექმნას მხარს უჭერდნენ. რადგანაც მათ თავიანთი ინტერესები გააჩნდათ სუბიექტების მიმართ.

სამანდატო პალესტინის ტერიტორიის ამგვარ გადანაწილებას მხარს უჭერდა ებრაული მხარე და ნაწილობრივ მისაღებიც იყო ამაგვარი გადაანაწილება თუმცა წინააღმდეგი იყო არაბული მხარე. ისინი მიიჩნევდენენ რომ ტერიტორია უსამართლოდ გადანაწილდა. პალესტინის ტერიტორიაზე არაბი მოსახლეობა 2/3-ზე მეტის შეადგენდა და ნახევარზე ნაკლები ტერიტორიის გადაცემა მათთვის უსამართლობა იყო.

---

[26] იქვე, გვ.219.
[27] იქვე, გვ.219
[28] იქვე, გვ.220

მიუხედავად იმისა რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რეზოლუცია მიიღო სამანდატო პალესტინის ტერიტორიის გადანაწილებასთან დაკავშირებით, მათ არ გააჩნდათ გაყოფისათვის კონკრეტული მექანიზმები. დიდი ბრიტანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე წამოაყენეს წინადადება, რომლის მიხედვით გაეროს უნდა შეეჩერებინა პალესტინის გაყოფის რეზოლუციის ამოქმედება. თუმცა საბჭოთა კავშირმა და მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის წამოყენებული ვერსია ჩააგდეს. ძალაში კვლავ 1947 წლის რეზოლუცია რჩებოდა.

ბრიტანეთის სამადატო ვადის დასრულებისთანავე და განვითებული მოვლენეის ფონზე ებრაელებმა 1947 წლის 14 მაის საკუთარი სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადეს. 15 მაისს ახლად შექმნილი ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ დაიწყეს ომი არაბულმა ქვეყნებმა (ეგვიპტე, იორდანია, სირია; ლიბანმა ათეული ჯარისკაცი გაგზავნა, ხოლო ერაყი რამდენიმე ბატალიონის გაგზავნით შემოიფრგლა).

1949 წელს მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია პალესტინის ტერიტორიაზე. 1950 წელს იორდანიამ სამანდატო პალესტინის ტერიტორიაზე არშექმნილი არაბული სახელმწიფოს ნაწილი თავის იურისდიქციაში მოაქცია, ასევე მან ქ. იერუსალიმის ისტორიული ნაწილი ანექსირებით დაიქვემდებარა. განსხვავებით ტრასიორდანიის ქმედებისგან, ეგვიპტემ დაკავებული ღაზას სექტორი არ შეუერათა თავის ტერიტორიას და იგი მხოლოდ სამხედრო ადმინისტრირებით შემოიფარგლა. 1948-49 წლის ომის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ისრაელის სახელმწიფოს საზღვრები. ისრაელის სახელმწიფოს ფაქტობრივად

,,სამანდატო პალესტინის[29]“ ტერიტორიის 78 % დარჩა. იერუსალიმის დასავლეთ ნაწილი ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადდა, ხოლო მის აღმოსავლეთ ნაწილი ტრანსიორდანიამ დაიქვემდებარა. სიტუაცია 19 წლის მანძილზე უცვლელი იყო. ამ ხნის მანძილზე საერთაშრისო საზოგადოებამ პალესტინაში არაბული სახელმწიფოს შექმნის საკითხი დაივიწყა. მსოფლი პოლიტიკის დღის წესრიგში პალესტინაში არაბული სახელმწიფოს შექმნის საკითხი კვლავ დადგა, მას შემდეგ რაც 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან ისრაელმა მთლიანი სამანდატო პალესტინის ტერიტორია დაიკავა.

პალესტინის ტერიტორიაზე წყლის რესურსებისთვის ბრძოლა ებრაელებსა და არბებს შორის აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია ბრინატეთის მანდატს დაექმვემდებარა და იქ ებრაელების დასახლებები გაჩნდა. პალესტინის მხრიდან დღემდე გაისმის ამ თემასთან დაკავშირებით უკმაყოფილო განცხადებები. მათი აზრით ისრაელის ხელისუფლება მათ არ აძლევთ საშუალებას ჰქონდეთ წყლის რესურსებთან თავისუფალი წვდომა. მნიშვნელოვანია ებრაული მხარის ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

პალესტინის ტერიტორიაზე (სამარიასა და იუდეაში) ბრიტანეთის მადატობის პერიოდში (1917-1948 წლები) მნიშვნელოვანი სამშენებლო ღონისძიებები გატარდა წყლის პრობლემის მოსაგვარაებლად და საგრძნობლად გაუმჯობესდა წყლის მიწოდების სისტემები. ბრიტანელების გამოჩენამდე, პალესტინის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა უძველესი წყლის სისტემებით სარგებლობდა. არსებული წყლის

[29] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი გეოპოლტიკა, თბილის, 2019, გვ. 223.

არხებს აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდათ. აღმოსავლეთ იუდეის და სამარიის მთების ფერდობებიდან წამოსული წყალი სამი აკვადუკების მეშვეობით მიეწოდებოდა დასახლებულ პუნქტებს. ვადი ქელეთის აკვადუკი ქ. იერიქონს წლიურად 3 მლინ $მ^3$ წყლით ამარაგებდა. ვადი უჯას აკვადუკის (7 მლნ $მ^3$ წლიურად) მეშვეობით ირწყვებოდა უჯას ველები, ხოლო ვადი ფარიას აკვადუკი 5 მლნ $მ^3$ წყლით ამარაგდებდა იერიქონთან ახლოს მდებარე დასახლებებს. გარადა ზემოთ ჩამოთვლილი აკავადუკებისა, ადგილობრივი მოსახლება წყლის გადატანისათვის იყენებდა კიდევ ორ მნიშვნელოვან აკვადუკს. ნაბლუსის და იერუსალიმის აკვადუკების მეშვეობით დასახლებულ პუნქტებს 3 მლნ $მ^3$-მდე (წლიურად) წყალი მიეწოდებოდა. ადგილობრივი მოხმარებისთვის, ასევე გამოიყენებოდა მთის ფერდობებიდან მომდინარე 200-მდე პატარა ნაკადულები, როგორც სასოფლო-სამეურნეო (მთის ტერასებზე დატბორვილი წყალი) ასევე სასმელი დანიშნულებისათვის (ძირითადად წყლის არხებით). საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის ძირითადად გამოიყენებოდა წვიმის შედეგად მიღებული წყალი, რომელსაც ავზებში აგროვებდნენ. საერთო ჯამში ნაკადულებისა და ავზებში დაგროვილი წყლის წლიური რაოდენობა 5 მლნ. $მ^3$-აღწევდა, მხოლოდ ნალექიანი წლის შემთხვევაში.

ბრიტანეთის მანდატის პერიოდში აშენდა ორი იმდროისათვის თანამედროვე სტილის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც იერუსალიმსა და რამალას ელექტროენერგისათან ერთად წყლითც ამარაგებდა, რაც წლიურად დაახლოებით 2 მლნ $მ^3$ -ზე მეტს შეადგენდა (წვიმიანი წლის შემთხვევაში). ამგვარად, პალესტინა (სამრიასა და იუდეას ტერიტორია) ბრიტანეთის მანდატის ამოწურვის პერიოდისათვის 25 მლნ $მ^3$ -ით იყო მომარაგებული (წვიმიანი წლის შემთხვევაში).

იორდანიის დაქვემდებარების პერიოდში (1948-1967 წლები), უცვლელი დარჩა ბრიტანელების მიერ გაკეთებული წყლის მიწოდების სისტემები, თუმცა ახალი საბურღი ტექნოლოგიის მეშვეობით 350 ჭაბურღილი (10-70 მეტრი სიღრმის) გაითხარა, რომელიც 41 მლნ $მ^3$ წყლით ამარაგებდა მოსახლეობას. ჭაბურღილებიდან ამოქაჩული წყალი ძირითად სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოიყენებოდა. პროექტის განხორციელების შემდეგ 708 პალესტინური დასახლება დაკავშირებული იქნა თანამედროვე წყლის მიწოდების სისტემასთან.

1970-იან და 80-იან წლებში ისრაელის ადმინისტრაციის მიერ პალესტინაში (სამარიასა და იუდეას ტერიტორიაზე) მრავალი ებრაული დასახლება აშენდა, რამაც თავისთავად გაზარდა წყლზე მოთხოვნა. დასახლებების ისრაეალის ეროვნულ წყალგამტართან დაკავშირებამ ეს პრობლემა გადაჭრა. პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული დასახლებები წყლით ეროვნული წყალგამტარის მეშვეობით მარაგდებოდა. მისი მეშევობით 1967-1995 წლებში პალესტინის ტერიტორიაზე წყლის ჯამურმა მიწოდებამ 66 მლნ. $მ^3$-და 120 მლნ $მ^3$-მდე გაიზარდა (წვიმიანი წლის დროს).

ებრაულ და არაბულ მხარეებს შორის წყლის რესურსების გადანაწილებისა და მართვის მიმართულებით მნიშვნელოვანია ოსლოს 1994 წლის შეთანხმება. ოსლოს შეთანხმების ერთ-ერთ ნაწილის თანახმად გადაწყდა, რომ ისრაელი წყლის მიწოდებასა და მომარაგების საკითხს ღაზას სექტორში პალესტინის მთავრობის კონტროლს დაუქვემდებარებდა. შეთანხმების მიხედვით, ადგილობრივი წყალსაცავებზე, ჭაბურღილების სატუმბებსა და წყლისა და კანალიზაციის სისტემების მართვა, განვითარება და მოვლა პალესტინის მთავრობას დაეკისრებოდა (გარდა პალესტინაში ებრაული

დასახლებებისა. თუმცა 2005 წლის შემდეგ, როდესაც ისრაელმა ღაზას სექტორი დატოვა ებრაული დასახლებების წყლით უზრუნველყოფის საკითხი პალესტინის მთავრობას გადაეცა). ოსლოს შეთანხმების მიხედვით ისრაელს ღაზას სექტორისათვის მილსადენების მეშვეობით დამატებით 5 მლნ $მ^3$ წყლის მიწოდება დაევალა.

ოსლოს 1995 წლის მეორე შეთანხმებით ისრაელმა ცნო პალესტინის უფლებები წყალთან დაკავშირებით. ორივე მხარემ დაასკვნა რომ პალესტინას 70-80 მლნ $მ^3$-ით მეტი წყალი სჭირდებოდა საარსებო მოხმარებისათვის (120 მლნ $მ^3$ 1995 წლისათვის).

შეთანხმების და მხარეთა ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციისათვის შეიქმნა ,,ერთობლივი წყლის კომისია" (Joint Water Commission-JWC) რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა მიმდინარე სამუშაოები, რისთვისაც მათ მიეცათ თავისუფალად გადაადგილების უფლება პალესტინის ტერიტორიაზე. კომისია 15 წლის მანძილზე დაძაბული სიტუაცებს დროსაც კი აქტიურ სამუშაოებს ატარებდა. ამ ხნის მანძილზე ისინი აკვირდებოდნენ სამშენებლო პროცესს; თვალყურს ადევნებდნენ წყლის და საკანლაიზაციო სისტემების სამონტაჟო სამუშაოებს, მართავდნენ შეხვედრებს და წერდნენ ანგარიშებს. კომისია შედგებოდა ოთხი ქვეკომიტეტისაგან: 1. ჰიდროლოგიური კომიტეტი, 2. საიჟინრო კომიტეტი, 3. საკანალიზაციო კომიტეტი და 4. ფინასური კომიტეტი.

ერთობლივი წყლის კომიისის დასკვნის მიხედვით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წყლის სისტემები პალესტინაში. დასკვნაში ნათქვამია რომ სამრიასა და იუდეას ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლების 96 % წყალით უზრუნველყოფილია.

მიუხედავად კომისიის დასკვნისა პალესტინასა და ისრაელს შორის წყლის პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. საკითხის ბოლომდე მოგვარებას და გადაჭრას არაბებსა და ებრაელებს შორის არსებული პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება კიდევ უფრო ართულებს.

წყლის რესურსების გამო ისრაელსა და არბულ ქვეყნებს (სირია, იორდანია) შორის სერიოზული კონფლიქტი იყო ინსპირირებული გასული საუკუნის 60-იანი წლებში, როდესაც ისრაელმა ჩრდილოეთიდან (კინერეთის ტბიდან) ეროვნული წყალგამტარი ააშენა ქვეყნის სამხრეთის წყალმცირე რაიონებისკენ[30]. ქმედების საპასუხოდ არაბულმა ქვეყნებმა სამეცნიერო დაზვერვის ჩართულობით, შეიმუშავეს გეგმა (ნაწილობრივ განახორციელეს კიდევაც), რომლის მიხედვით კინერეთის ტბის მთავარ წყაროს, მდ. იორდანეს სათავეს შეუცვლიდნენ მიმართულებას ლიბანისაკენ და იორდანეს შენაკადს მდ. იარმუკს გამოიყენებდნენ იორდანიაში დაპროექტებული მუხეიბას წყალსატევის ასავსებად. ამ გეგმის განხორციელების და ბოლომდე მიყავნის შემთხვევაში ისრაელის ეროვნულ წყალგამტარს უწყლოდ დარჩენა ემუქრებოდა, რაც სერიოზულ კრიზისს გამოიწვევდა ქვეყანაში. ისრაელმა თავის ეროვნული ინტერესებიდან გამომდიანარე, 1965 წელს სამხედრო ავიაციის მეშვეობით განახორციელა წერტილოვანი დარტყმები არაბი მეზობლების მშენებარე ობიექტებზე, რამაც არაბულ სახელმწიფოებს უარი ათქმევინა პროექტის განხორციელებაზე.

დაპირისპირება ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ამით არ დასრულებულა. 1967 წლის ,,ექვსდღიანი ომის“ შედეგად ისრაელი სირიის

[30] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, თბილისი, 2018, გვ.74

ტერიტორიას, გოლანის მაღლობებს, დაეუფალა და კინერეთის ტბის მთავარ წყალშემკრებებზე კონტროლით წყლის პრობლემა თავის სასარგებოლდ გადაჭრა[31]. უნდა ითქვას, რომ ისრაელსა და სირიას შორის კონფლიქტის მაუგვარებლობა იმდენად ტერიტორიულ საკითხს არ უკავშირდება, რამდენადაც წყალს (გაჩეჩილაძე 2018).

3.2 სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის განვითარების პროექტი და სირიისა და ერაყის წყლის უსაფრთხოების საკითხი

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ე.წ ნაყოფიერი ნახევარმთავრის ტერიტორიაზე ადამიანები ათი ათასზე მეტი წლის წინ დასახლდნენ და მათ უძველეს ცივილიზაციებს ჩაუყარეს საფუძველი. ნაყოფიერი ნახევარმთვარის ზემო წელიდან სათავეს იღებეს ორი უმნიშვნელოვანესი მდინარე ევფრატი და ტიგროსი, რომელებიც თურქეთის გავლით სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მიედინებიან. 6 ათასზე მეტი წელია რაც ევფრატი და ტიგროსი მესოპოტამიის ტერიტორიას წყლით ასაზრდოებენ. ,,ცივილიზაციების აკვნის“ რეგიონში წყალი სიცოცხლის წყაროა და იგი ამავდროულად კონფლიქტების დაწყების მიზეზიცაა.

მეოცე საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თანამედროვე სახელმწიფოები შეიქმნა. მათ შექმნეს ახალი პოლიტიკური და ტერიტორიული საზღვრები, რის შედეგადაც, დღეს, ევფრატი და ტიგროსი თურქეთის, სირიისა და ერაყის ტერიტორიის საზღვრებშია მოქცეული. თურქეთის განვითარების

[31] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, თბილისი, 2018, გვ.74

გეგმა საფრთხეს უქმნის ევფრატისა და ტიგროსის წყლის რესურსების ორ ისტორიულ მომხმარებელს და მასზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს ერაყსა და სირიას. სამივე სახელმწიფოსათვის ევფრატისა და ტიგროისი მდინარეების გამოყენება და ათვისება უმნიშვნელოვანესია. სამივე ქვეყნის გადაწყვეტილებამ რომ დაიცვას თავისი უფლებები ევფრატზე და ტიგროსზე, გამოიწვია სერიოზული დაძაბულობა ქვეყნებს შორის.

განსხვავებით თურქეთ-ერაყის შემთხვევისგან სიარიასა და თურქეთს შორის წყლის გარშემო დაპირისპირებები გაცილებით ადრე დაიწყო. დაპირისპირების მიზეზი სირიასა და თურქეთს შორის, სირიის მიერ 1950-იან წლებში მდინარე ორონტესზე (არაბ. ნაჰრ-ალ-ასი) კაშხლის აგებამ გამოიწვია. მდინარე ორონტესი, სათავეს იღებს ლიბანის მთებიდან. მდინარის უმეტესი მონაკვეთი მიედინება სირიის ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომ თურქეთის ტერიტორიის (ჰათაის ილში) გავლით და ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება.

თურქეთმა თავიდანვე შეშფოთება გამოთქვა ამ პროექტთან დაკავშირებით თუმცა სირიამ არ გაითვალისწინა მათი ინტერესები. თურქეთმა წამოაყენა წინადადება რომ მოლაპარაკებები ეწარმოებინათ წყლის გაყოფის თაობაზე. მათი მტკიცებით კაშხლის აშენება მნიშვნელოვნად შეამცირებდა წლის დონეს ჰათაის ილში (თურქული პროვინცია), რაც შესაბამისად აზარალებდა იქ მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც სოფლის მეურენობით იყვნენ დაკავებულნი. სირიის მხარემ თავიდანვე უარყო ეს წინადადება, რადგანაც თურქეთთან შეთანხმება მდინარე ორონტესის გაყოფის შესახებ ნიშნავდა, რომ სირიას უარი უნდა განეცხადებინა თავის პრეტენზიაზე ჰათაის ილის (ალექსანდრეტას სანჯაყი) მიმართ.

თანამედროვე ჰათაის ილი, რომელიც ადრე ანტიოქიის სახელით იყო ცნობილი ისტორიულად სირიის საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა მოგვიანებით იგი ოსმალეთის ტერიტორიის საზღვრებში მოიქცა, ხოლო ალექსანდრეტას სანჯაყს თურქებმა სახელი შეუცვლეს და ისქენდერუნი უწოდეს. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ერთა ლიგიგამ სირია-ლიბანის ტერიტორია და მასთან ერთად ალექსანდრეტას სანჯაყი საფრანგეთის მანდატს დუქვემდებარა. 1923 წელს ლოზანას საზავო ხელშეკრულების მიხედვით თურქეთმა უარი განაცხადა თავის ადრინდელ ტერიტორიებზე, თუმცა მას შემდეგ რაც საფრანგეთის მანდატის ფარგლებში სირიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა ათათურქმა საფრანგეთს მიმართა რომ ალექსანდრეტას სანჯაყი თურქეთს გადასცემოდა, რადგანაც იქ მცხოვრები მოსახლეობას უმრავლესობა თურქები იყვნენ. საფრანგეთმა და მოკავშირებმა თურქეთში გერმანიის გავლენის შესაცერებლად დააკმაყოფილა თურქული მხარის მოთხოვნა და 1939 წელს იგი თურქეთის ტერიტორიის საზღვრებში მოექცა.

სირია დღემდე მიიჩნევს რომ 1939 წელს თურქეთმა საფრანგეთის მეშვეობით უკანონოდ მიისაკუთრა მათი ტერიტორია. სირიამ თავისი სუვრენული უფლებისა და ,,ჰერმონის დოქტრინის“[32] საფუძველზე დაყრდნობით მდინარე ორონტესზე კაშხლის მშენებლობა ბოლომდე დაასრულა.

სირიის ხელისუფლებმა ვერ გათვალა ის საპასუხო ნაბიჯები რაც თურქეთისგან შეიძლება წამოსულიყო. სულ მალევე თურქეთმა გრანდიოზული

[32] 1896 წელს აშშ-ის გენერლური პროკურორის, ჯადსონ ჰერმონის მიერ გამცხადებული დოქტრინა - ,,საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი არის ყველა სახელმწიფოს აბსოლიტური სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე. ამჯერად საერთაშორისო სამართლის მიხედვით მსგავის ტიპის დავები სახელწიფოთა პასუხისმგებლობისა და მსფლიო მოქალაქეობის კონცეეფციით გვარდება.

პროექტის განხორციელებას ჩაუყარა საფუძველი სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიაზე, რამაც როგორც სირიის ასევე ერაყის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.

„სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის განვითარების პროექტის“ (Guneydogu Anadolu Projesi-GAP) მიზანია ჰიდროელექტროენერგიის და სარწყავი სისტემების განვითარება ევფრატზე და ტიგროსზე. იდეა ჯერ კიდევ ჩაფიქრებული იყო ათათურქის მიერ 1930-იან წლებში. 1936 წელს მისი ძალისხმევით შეიქმნა ელექტროენერგიის შემსწავლელი ადმინისტრაცია (ახლა ის თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დეპარტამენტია), რომლის მიზანი იყო წყლის გამოყენებით ელექტროენერგიის მიღების შესაძლებლობების დადგენა და შესწავლა. 1945 წელს სახელმწიფო ჰიდრავლიკური სამუშაობის დირექტორიატმა შეიმუშავა თურქეთის წყლის განვითარების პროექტი, რომელიც მოიაზრებდა მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების გამოყენებს და ასევე მიწის ეროზიისაგან დაცვას და წყალდიდობის დროს პრევენციულ სამუშაოებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი მოიცავს 22 კაშხალს, 25 სარწყავ პროექტს და 19 ჰიდროელექტროსადგურს. იგი დაყოფილი 13 მთავარ ქვე-პროექტებად, აქედან შვიდი მდებარეობს მდინარე ევფრატზე, ხოლო დანარჩენი ექვსი კი მდინარე ტიგროსზე. მდინარე ევფრტზე ყველაზე დიდი პროექტი ქვედა ევფრატია, რომელიც ათათურქისა კაშხლისა და შანლიუფრას გვირაბთან ერთად მოიცავს დაატებით კიდევ ხუთ მცირე ქვე-პროექტებს.

ევფრატის ზემო წელში მდებარე ქებანის კაშხალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობების სერიის პირველ პროექტს

წარმოადგენდა, რომელიც თავიდან არ შედიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის განვითარების პროექტში. 211 მეტრი სიმაღლის კაშხალი 1965-1974 წლებში აშენდა. კაშხალში წყლის მოცულობა 30 მლრდ $მ^3$-ია და იგი 1,240 მგვტ სიმძლავრისაა. კარაკაიას კაშხალი, რომელიც 165 კმ-ის მოშორებით მდებარეობს ქებანის სამხრეთით, აშენდა 1967-1988 წლებში და მისი სიმძლავრე შეადგენს 1,800 მგვტს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტის ფარგლებში ყველაზე დიდი ათათურქის კაშხალია, რომელიც 2,400 მგვტ სიმძლავრისაა. იგი მდებარეობს კარაკაიას სამხრეთით 180 კმ-ის დაშორებით; პროქტის ფარგლებში არსებული ჰიდროელექტროსადგურებიდან მიღებული ელექტროენერგიის 1/3 ათათურქის კაშხალზე მოდის. გარდა ამისა, შანლიუფრას გვირაბის გავლით მას ნახევარი მილიონი ჰექტარის მორწყვის პოტენციალი გააჩნია.

მდ. ევფრატზე ათათურქის კაშხლის მშენებლობა თურქეთსა და სირიას შორის კონფლიქტის დაწყების მიზეზი გახდა. 1990-იან წლებში თურქეთმა, მდინარე ევფრატი, ათათურქის რეზერვუარის შევსების მიზნით ერთი თვით გადაკეტა. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად დაწია ევფრატის დონე სირია-თურქეთის საზღვარზე, რის შედეგადაც ტაბკას კაშხალმა სერიოზული დანაკარგი განიცადა. ჰიდროელექტროენერგიის წარმოება 880 მგვტ-დან 150 მგვტ-მდე შემცირდა. თურქეთის მიერ ევფრატის გადაკეტვამ ერთი თვით წყლის მომარაგების მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემა შეუქნა ალეპოს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიამოიცავ ცხრა პროვინციას რვა მილიონზე მეტი მოსახლეობით (2.5 %-ით იზრდება ყოველწლიურად). ანკარა ამ პროექტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ენერგეტიკული და სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, ასევე

მათი აზრით ამ ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას მოუტანს იქ მცხოვრებ სეპარატისტულად განწყობლ ქურთ მოსახლეობას (სამხრეთ-აღოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიის 50 %-ზე მეტი ქურთული მოსახლეობიითა დასახლებული, გარდა 6 ძირითადი პროვინციისა ქურთების უმეტესი ნაწილი ასევე დასხლებულნი არიან თურქეთის სამხრეთ, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში. გარდა თურქეთისა ქურთული მოსახლეობა არის ასევე ირანში, სირიაში და ერაყში. ასევე მცირე რაოდენობით არიან საქართველოში, სომხეთსა და რუსეთში. ქურთებს დაკავებული აქვთ თურქეთის ტერიტორიის 19 %, ერაყის 23 % და სირიის ტერიტორიის დახლოებით 10 %-მდე. საერთო ჯამში 40 მილიონამდე ქურთი დღესაც კი ერთიანი სახელმწიფოს გარეშე არიან.), რაც თავისთავად სეპარატიზმის შესუსტებას გამოიწვევს.

ექსპერტთა ვარაუდით სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტის დასრულებისა და სრულად ამოქმედების შემდეგ წყლის რაოდენობის სერიოზულ კლებას გამოწვევს ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე. ევფრატის შეტბორვით თურქეთის ტერიტორიაზე 30-55 %-მდე (10-16.9 მლრდ $მ^3$ წელიწადში) შეამცირებს წყლის ბუნებრივ ნაკადს სირიაში, ხოლო 80 %-მდე (25.6 მლრდ $მ^3$ წელიწადში) ერაყში.

1960-იანი წლიდან სირიას უკვე სერიოზული პრობლემები გაუჩდა წყლის გაყოფასთან დაკავშირებით. თურქეთის მიერ დაწყებულმა მშენებლობებმა მდინარე ევფრატზე მნიშვნელოვნად დაწია წყლის დონე სირიის ტერიტორიაზე გამავალ ევფრატზე. მიუხედავად იმისა რომ სირიამ მდ. ევფრატზე 1970-იან წლებში ტაბაკას კაშხალი ააგო საბჭოთა კავშირის დახმარებით თავისი სასოფლო-სამეურნეო და წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად,

ბოლომდე მაინც ვერ უზრუნველყო საკითხის მოგვარება, რადგანაც რეზერვუარში წყლის შევსება იმაზეა დამოკიდებული თუ მდ.ევფრატის ჩამონადენის რა ნაწილს გამოუშვებს თურქეთი.

თურქეთში მიმდინარე მშენებლობები მდინარეებზე და შეტბორვითი სამუშაოები თავიანთი სასოფლ-სამეურნეო და ენერგეტიკული მიმართულების უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად სერიოზულ ზიანს აყენებს სიარია-ერაყს, გარდა ამისა იგი სერიოზული საფრთხის შემცველია საქართველოსთვისაც. 1990-იან წლებიდან თურქეთი მიერ მდინარე ჭოროხზე და მის შენაკადებზე კაშხლების მშენებლობას ახორციელებს რაც მკვეთრად ამცირებს შავ ზღვაში მყარი ჩამონადენის (ხრეში, ხვინჭა) მოცულობას[33]. მომდინარე საფრთხე საკმაოდ სერიოზულია, რადგან შავი ზღვის ტალღების მძლავრმა დარტყმებმა შესალოა მკვეთრად შეამციროს მწვანე კონცხისა და ბათუმის სანაპიროები. ეკოლოგიური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური დაზვერვის მიმართულებით სერიოზული საქმიანობა უნდა წარიმართოს რათა წინასწარ იყოს მოსალოდნელი შედეგები გათვითცობიერებული და დროულად ჩატარდეს საფრთხის აღკვეთისთვის შესაბამისი სამუშაოები.

3.3 შატ-ელ-არაბი და სპარსეთის ყურის პირველი ომი

შატ-ელ არაბი წარმოადგენს ევფრატისა და ტიგროსის შედეგად წარმოშობილ მდინარეს (195 კმ.), რომელიც სპარსეთის ყურეში ჩაედინება. იგი ამავდროულად წარმოადგენს ერაყისა და ირანის სახელმწიფოების სასაზღვრო მდინარეს. 1975 წელს ალჟირში მოწერილი ხელშეკრულების თანახმად

[33] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, თბილის, 2018, გვ.76.

ირანისა და ერაყს შორის საზღვრი მდინარე შატ-ელ-არაბის შუაგულში გადიოდა. ,,სპარსეთის ყურის ომის“ ან იგივე ირან-ერაყის ომის დაწყების დაწყების მიზეზები მრავალ ასპექტიანია. კონფლიქტში ერთდროულად თავს იყრის ტერიტორიული დავები, წყლის რესურსების საკითხი და იდეოლოგიურ-პოლიტიკური დაპირისპირებები.

ჰუსეინის მიზანი იყო გაეუქმებინა ალჟირის ხელშეკრულება და მდინარე შატ-ელ-არაბზე კონტროლი მოეპოვებინა, ვინაიდან მდინარე წარმოადგენდა მნიშვნელოვან სატრანსპორტო საშუალებას ერაყის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის. გარდა ამისა, მას შემდეგ რაც ირანში შაჰის ტახტი დაემხო რეგიონში შიიტური ისლამის გავრცელების საშიშროება შეიქმნა. ეს ყოველივე კი ერაყის მხრიდან ირანთან ომის დაწყების საბაბად იქცა. 1980 წლის სექტემბერში ერაყმა ირანს ომი გამოუცხადა. ომის დაწყებიდან მალევე ევროპამ და აშშ-მ მხარი დაუჭირეს ერაყს და ისინი იარაღითა და სადაზვერვო ინფორმაციებით ამარაგებდნენ. 1986 წლიდან აშშ-ის მთავრობა (პრეზიდენტი რონალდ რეიგანი) ერაყს საიდუმლოდ იარაღითაც ამარაგებდა[34].

ომის დაწყების პირველივე დღიდანვე ერაყის მთავარ მიზანი ხუზისტანის, ირანული პროვინციის, ხელში ჩაგდება იყო. მან მალევე მოიპოვა არაბული ქვეყნების მხარდაჭერაც, რაც ქუვეითის და საუდის არაბეთის მხრიდან ფინანსური კრედიტების გამოყოფით გამოიხატა (სპარსეთის ყურის მეორე ომის დაწყების მიზეზი სწორედ ფინანსური დავალიანება იყო).

[34] სპარსეთის ყურის პირველი ომი ანუ ირან-ერაყის ომი, გვ.1. http://studinfo.edu.aris.ge/2013/06/29/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/

ერაყი მიიჩნევდა რომ ახლად მომხდარ რევოლუციის გამო ირანს არ ექნებოდა საკმარისი რესურსი და ძალა წინააღმდეგობის გაწევისათვის, თუმცა შეცდა. ერაყის მხრიდან ირანის წინააღმდეგ წამოწყებულმა ომმა ერის (ირანის) კონსოლიდაცია გამოიწვია. მიუხედავად დასავლური და არაბული ქვეყნების მხრდან არსებული მხარდაჭერისა ერაყმა მიზანს ვერ მიაღწია. რვაწლიანი ომი ორივე მხრესთვის დამღუპველი აღმოჩნდა. მდინარე შატ-ელ არაბზე სტატუს ქვო სადამ ჰუსეინმა 1991 წელს, მეორე ომში დამარცხების შემდეგ ოფიციალურად აღიარა[35].

3.4 ბრძოლა ნილოსისათვის

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ჩრდილოეთ აფრიკის ნაწილში მეტად საინტერესო მოვლენები მიმდინარეობს და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს. დაპირისპირების მიზეზი კი მდინარე ნილოსის ათვისებას უკავშირდება. ეთიოპია და ეგვიპტე ამ შემთხვევაში შეგვიძლია ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეებდ განვიხილოთ. ეთიოპიის მიერ მდინარე ნილოსზე კაშხლის მშენებლობა ეგვიპტის სერიოზულ უკმაყოფილებას და შეფოთებას იწვევს. გარდა ამისა, ეთიოპიის პარლამენტმა ნილოსის წყლის რესურსის განაწილების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახინდა. შეთანხმებას 2010 წელს ხელი

[35] იქვე, გვ.2.

მოაწერეს ეთიოპიამ, რუანდამ, ტანზანიამ, უგანდამ[36]; მოგვიანებით მას შეერთდნენ კენია და ბურუნდი. დოკუმენტი ითვალისწინებს ნილოსის წყლის ახალ გადანაწილებას, ასევე მდინარის აუზში წყლის პროექტებზე კომისიის შექმნას. შეთანხმების მიღმა დარჩნენ ნილოსის მთავარი მომხმარებლები: ეგვიპტე და სუდანი. ეს ქვეყნები აქტიურად გამოდიან ახალი დოკუმენტის წინააღმდეგ, რადგან ის ფაქტიურად ცვლის 1959 წელს მიღწეულ შეთანხმებას[37], რომელშიც ეგვიპტისა და სუდანის ინტერესები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული.

თუმცა, სანამ თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე პროცესებზე ვისაუბრებდე, მნიშვნელოვანია გავეცნოთ ისტორიულ წიაღსვლებს.

მდინარე ნილოსი უძველესი ცივილიზაციების აკავნია, რომელმაც მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა მსოფლიო ისტორიაში. ეგვიპტისა და სუდანის ცივილიზაციების შექმნა სწორედ მის სახელს უკავშირდება, ამავდროულად სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ მდინარე ნილოსი არც ერთი მათგანის საკუთრებაა (ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ჰეროდოტე აღნიშნავდა რომ ნილოსი არაა ეგვიპტის საკუთრება).

მდინარე ნილოსი ორი ძირითადი შენაკადისგან შედგება: ცისფერი ნილოსი (სათავეს იღებს ეთიოპიის ტერიტორიაზე, ტბა ტანადან) და თეთრი ნილოსი (სათავეს ღებს ბურუნდისა და რუანდის მთებიდან). ორივე შენაკადი ერთად ერთდდება სუდანის ტერიტორიაზე, ხართუმთან ახლოს და სწორედ აქიდან ქმნიან ერთიან ნილოსს, რომელიც შემდგომ ეგვიპტის გავლით ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება.

---

[36] თანამედრო ახლო აღმოსავლეთი, გვ.23. http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2222.pdf

[37] იქვე, გვ.23.

თითქოსდა საუკუნეების განმავლობაში მოვლენები მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა კოლონიალიზმის ეპოქაში, ბრიტანეთის პროტექტორატის პერიოდში მნიშვნელოვანი გარდატეხები მოხდა.

ბრიტანეთი მაქსიმალურად ცდილობა აეთვისებინა და გამოეყენებინა ნილოსის ნაყოფიერი დელტები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ნილოსის გარშემო მოლაპარაკებები. 1929 წელს, ეგვიპტემ ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აღმოსავლეთ აფრიკის ბრიტანულ კოლონიებთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ეგვიპტეს ეძლეოდა უფლება გამოეყენებინა 50 მლრდ $მ^3$ წყალი და ამასთანავე დაედო ვეტო ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, რომელიც მდ. ნილოსის ზემო წელზე ნებისმიერი სახის პროექტის განხორციელებას უკავშირდებოდა[38]. თუმცა დეკოლონიზაციის პროცესის შემდეგ, რამდენიმე სახელმწიფო წარმოიქმნა და შესაბამისად შეიქმნა ახალი დღის წესრიგი, რამაც ნილოსის ახალი გადანაწილების აუცილებლობა გამოიწვია.

1959 წლის შეთანხმების მიხედვით ეგვიპტეს მიეცა უფლება ესარგებლა 55.5 მლრდ $მ^3$-ით წლიურად, სუდანს კი 18.5 მლრდ $მ^3$. ამავე შეთანანხმების მიხედვით ეგვიპტეს მიეცა უფლება დაესრულებინა და აეშენებინა რამდენიმე კაშხალი ნილოსზე: ხაშმ ალ-გირბა (დასრულდა 1964 წელს), როსერის კაშხალი (დასრულდა 1966 წელს), ასვინის კაშხალი (დასრულდა 1971 წელს)[39].

1987 წლის ეგვიპტის (ჰოსნი მუბარაქი) და ეთიოპიის (ჰაილე მარიამ მენგისტუ) პრეზიდენტებს შორის გამართული მოლაპარაკებები პრობლემის თითქოსდა მშვიდობიან მოგვარებას მოასწავებდა, თუმცა ქვეყნებს შორის ურთიერთობები საბოლოოდ დაიძაბა მას შემდეგ, რაც ეგვიპტემ ნასერის ტბაზე,

[38] თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, გვ.24. http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2222.pdf
[39] თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, გვ.24. http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2222.pdf

ჯერ კიდევ ანვერ სადათის დაწყებული, ტოშკას არხის მშენებლობა განაახლა. ამ არხის ექსპოლატაციის შესვლის შემთხვევაში მას ნასერის ტბის 10 პროცენტამდე უნდა გამეყენებინა, შესაბამისად, ამასთან ერთად იზრდებოდა წყლის საჭიროება, და იგი ბევრად აღემატებოდა იმ რაოდენობას, რაც 1959 წელის მიღებული ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

ყოველივე ამის შემდეგ ეთიოპიამ დაიწყო ,,გრანდ რენესანსის" კაშხლის პროექტის შექმნაზე მუშაობა, რომელიც წესით 2015 წლისთვის უნდა დასრულებულიყო და დაახლოებით 5 მლრდ აშშ დოლარს საჭიროებდა. თუმცა დღემდე მშენებლობის პროცესშია. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილ საერთაშორისო ბანკებს აქვთ მსგავსი პროექტების დაფინანსების გამოცდილება, რატომღაც კრედიტორებმა არ გამოყვეს ამ პროექტის დასრულებისთვის საჭირო თანხა. ერთ-ერთი მიზეზი კი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეგიონში ახალი პოლიტიკური დაძაბულობის და ეკოლოგიური საფრთხის შესაძლო დაწყებამ განაპირობა. კაიროს მტკიცებით, იგი მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს და საგრძნობლად დაწევს მდინარის დონეს ნილოსის დელტებში.

2012 წელს ვიკილიქსიმა გამოაქვეყნა საიდუმლო მასალები, რომლის მიხედვითაც ეგვიპტე და სუდანი გეგმავდნენ ეთიოპიის ტერიტორიაზე მშენებარე კაშხლის დაბომბვას, თუმცა ეგვიპტემ და სუდანმა ეს ფაქტი დაგმეს. ეგვიპტის ხელისუფლების განცხადებით ისინი არ აპირებენ კაშხლის დაბომბვას, თუმცა ეგვიპტე ყველაფერს გააკეთებს თავისი წყლის რესურსების დასაცავად.

1966 წელს ჰელისინკის შეთანხმების მიხედვით მსგავსი ტიპის დავები ,,თანაბარი გადანაწილების" პრინციპის მიხედვით უნდა მოგვარდეს, თუმცა

მხარეები დღემდე ვერ თანხმდებიან. სუდანი და ეგვიპტე კი პარალელურად თავიანთ ისტორიულ უფლებებზე მიუთითებენ.

დასკვანა

ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ წყლის რესურსებს მნიშვნელვანი გავლენა აქვს ახლო აღმოსვლეთის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკაზე. გამომდინარე მაგალითებიდან, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები აქტიურ რეგიონალურ, საგარეო და საშინაო პოლიტიკას აწარმოებენ რათა წყლის უსაფრთხოების საკითხი მოგვარონ.

წყლის რესურსები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის განვითარებასა და უსაფრთხოებაზე. წყლის რესურსების სიმცირე პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და განვითარებაზე. ახლო აღმოსავლეთის რეგიონის რამდენიმე სახელმწიფო, რომელებიც ისტორიულად აგრარულ ქვეყნებად ითვლებიან, წყლის რესურსების სიმცირე სერიოზულ გამოწვევად და საფრთხედ მიიჩნევა.

ეროვნული ინტერესებისა და წყლის უსაფრთხოების საკითხიდან გამომდინარე რეგიონის ცალეკული ქვეყნები მნიშვნელოვან ღონისძიებებს მიმართავენ რათა უზრუნველჰყონ წყლის უსაფრთხოების საკითხი. ხშირ შემთხვევაში ერთი სახელმწიფოს მიერ წყლის რესურსებზე გავლენის დაწესება უარყოფითად აისახება მეორე სახელმწიფოზე, რაც შემდგომში კონფლიქტის დაწყების მიზეზი ხდება. თურქეთის მიერ მდინარე ევფრატზე და მდ. ტიგროსზე კაშხლების აგებამ მნიშვნელოვნად შეამცირა წყლის რაოდენობა სირიასა და ერაყში. ევფრატზე და ტიგროსზე წყლის კლებამ მნიშვნელოვანი გავლენა

იქონია სოფლის მეურნეობის საქმიანობაზე, რაც აისახა ეკონომიკაზე, გარდა ამისა თურქეთთან არსებული დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა.

ეგვიპტე, წყალს ეროვნული უსფრთხოების პირზმაში განიხილავას. ეთიოპიის მიერ მდინარე ნილოსზე კაშხლის აგებამ რეგიონში ახალი კონფლიქტის დაწყების საფრთხეს ჩაუყარა საფუძველი. ვიკილიქსის ანგარიშის მიხედვით სუდანი და ეგვიპტე გაერთიანებული ძალებით გეგმავდნენ საჰაერო იერიშის მიეტანათ ეთიოპიის ტერიტორიაზე მშენებარე ,,გრანდ რენესანსის" კაშხალზე, თუმცა ორივემ მხარემ უარყო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

ებრაულ-არაბულ კონფლიქტში ტერიტორიულ დავებს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორც წყლის რესურსების განაწილების საკითხს. პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს შექმნის დღიდან წყლის საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ზოგჯერ წყლის საკითხი სცდება რეგიონის ფარგლებს და იგი გლობალურ ფლატორმაზე გადაინაცვლებს. გამომდინარე იქიდან რომ კასპიის ზღვა ნაწილობრივ ახლო აღოსავლეთის რეგიონს ეკუთვნის იგი ამავდროულად პოსტსაბჭოთა სივრცის განუყოფელი ნაწილიცაა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე კასპიის ზღვა ირანისა და საბჭოთა კავშირის საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის სანაპიროეზე კიდევ ოთხი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა, რამაც კასპიის ზღვის აუზის ხელახალი გადანწილების აუცილებლობა გამოიწვია. მიუხედავად იმისა რომ კასპიის ღვისპირა სახელმწიფოები შორის შეთანხმება შესდგა, ირანული მხარე მაინც უკმაყოფილოა მიღწეული შედეგით.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სრუტეები საერთაშორისო მნიშვნელობისაა და ამრიგად მისი მნიშვნელობა სცდება რეგიონის ფარგლებს. სრუტეებზე გავლენის მოპოვება საუკუნეების განმავლობაში დიდი სახელმწიფოების მთავრ მიზანს წარმოადგენდა, რაც დღემდე გრძელდება. ჰორმუზის სრუტეს სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, როგორც საკუთრივ რეგიონისთის, ასევე გლობალურ დონეზე. ნავთობის ტრანსპორტირება მსოფლიოს სხვადასხვა პუნქტებისაკენ სწორედ ჰორმუზის სრუტის მეშვეობით ხორციელდება, რაც სრუტეს გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებს. ირანის მხრიდან გაკეთებული განცხადებები ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვასთან დაკავშირებით სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მსოფლიოში. სრუტის ჩაკეტვა მნიშვნელოვან კრიზისი გამიწვევს მსოფლიო სანავთობო ბაზარზე, ამავდროულად ამან შესაძლოა მთელი რიგი სახელმწიფოების ენერგოუსაფრთხოებას შეუქმნას საფრთხეს.

ზემოდხსენებული მაგალითებიდან გამომდინარე, საკვლევ კითხვებზე პასუხები არგუმენტირებულად დასაბუთებული და გამყარებულია. კვლევის ჰიპოთეზაში გამოთქმული მოსაზრება კი შეგვიძლია ნაწილობრივ გამართლებულად მივიჩნიოთ.

კვლევისას გამოყენებული მეთოდოლოგია, რომელიც აგებულია ჰერმონის დოქტრინალურ პრინციპებზე, ნახსენები არგუმენტებიდან და მაგალითებიდან გამომდინარე შეგვიძლია მართებულად მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბილისი, 2008
2. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები, ტომი პირველი თბილის, 2018

3. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა, ტომი მეორე, თბილის, 2019

4. ტრაპაიძე ვ. წყლის რესურსები, თსუ, თბილისი, 2012

5. Smith D. The state of Middle East, კალიფორნია, აშშ, 2006

6. Procházka P. Hönig V. Maitah M. Pljuˇcarská I. Kleindienst J. Evaluation of Water Scarcity in Selected Countries of the Middle East, ჩეხეთი, 2018 // https://www.mdpi.com/2073-4441/10/10/1482/htm (ბოლოს ნანახია 17.06.2019)

7. Mulholland H. Water politics in the Middle East: a multi case approach to regional shortage, ფლორიდა, აშშ, 2006 // https://stars.library.ucf.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=3085&context=etd (ბოლოს ნანახია 17.06.2019)

8. Gvirtzman H. The Israeli-Palestinian Water Conflict: An Israeli Perspective, ისრაელი, 2012 // https://www.pseau.org/outils/ouvrages/besa_the_israeli_palestinian_water_conflict_an_israeli_perspective_2012.pdf (ბოლოს ნანახია 17.06.2019)

9. Water Conflicts in the Nile River Basin: Impacts on Egypt Water Resources Management and Road Map https://www.researchgate.net/publication/281320402_Water_Conflicts_in_the_Nile_River_Basin_Impacts_on_Egypt_Water_Resources_Management_and_Road_Map (ბოლოს ნანახია 17.06.2019)

10. https://apps.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a539676.pdf (ბოლოს ნანახია 17.06.2019)

11. https://www.radiotavisupleba.ge/a/24422097.html (ბოლოს ნანახია

17.06.2019)

12. Gulf crisis: US sends more troops amid tanker tension with Iran https://www.bbc.com/news/world-us-canada-48671319 (ბოლოს ნანახია 17.06.2019)